



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



საქართველოს
ჟურნალისტური
ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუმეგობელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია	3
ძირითადი ტენდენციები	4
მონიტორინგისთვის შერჩეული სატელევიზიო არხების ანალიზი	6
პირველი არხი.....	6
საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია	13
პალიტრა ტვ	17
მთავარი არხი	19
რუსთავი 2.....	25
კავკასია	29
იმედი	31
ობიექტივი	36
„ფორმულა“.....	39
მაესტრო	43
ტვ პირველი.....	46
POSTV.....	49

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ გაეროს განვითარების პროექტ „საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევის“ ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური დახმარებით აკვირდება ტელემედიის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გაშუქებას. მონიტორინგი დაიწყო 2020 წლის 15 ივნისს და დასრულდება 2020 წლის დეკემბერში.

დაკვირვება მიმდინარეობს შემდეგ 12 სატელევიზო არხზე: პირველი არხი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია მთავარი, რუსთავი 2, იმედი, ფორმულა, ტვ პირველი, მაესტრო, ობიექტივი, კავკასია, პალიტრა ტვ, POSTV

მონიტორინგის მეთოდოლოგია

სატელევიზიო მთავარი საინფორმაციო გამოშვებების წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტებია: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება. გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და, ასევე, მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს საკუთარ თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასებაც. ყურადღება ექცევა, როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს. თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის შესახებ რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება, ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შეესაბამება ერთმანეთს ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები).

ძირითადი ტენდენციები:

- ყველა არხის მონაცემებით, პარტიებს შორის ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“. მას მოსდევს „ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“.
- „ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად POSTV-ზე გაშუქდა. დროის 39 % დადებითი ტონით შეფასებას დაეთმო.
- „ქართული ოცნება“ ყველაზე უარყოფითად „მთავარ არხზე“ გაშუქდა. დროის 72% უარყოფითი ტონით შეფასებას დაეთმო. „ქართული ოცნების“ მიმართ ყველაზე კრიტიკული სიუჟეტები ხშირად ამ არხის ეთერში გადიოდა.
- „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაზე დადებითად „მთავარი არხის“ ეთერში გაშუქდა. დროის 13 % დადებითი ტონით შეფასებას დაეთმო. ეს პარტია ყველაზე უარყოფითად „ობიექტივმა“ გააშუქა. დროის 91 % უარყოფითი ტონით შეფასებას დაეთმო.
- „ევროპულ საქართველოს“ ყველაზე მეტი დრო „ფორმულას“ ეთერში დაეთმო, ყველაზე პოზიტიურად ეს პარტია „მთავარი არხის“ ეთერში გაშუქდა და დროის 7 % პოზიტიური ტონით შეფასებას დაეთმო.
- „ევროპული საქართველო“ ყველაზე უარყოფითად „ობიექტივის“ ეთერში გაშუქდა. დროის 90 % ნეგატიურად შეფასებას დაეთმო.
- პარტიას „ლელო საქართველოსთვის“ ყველაზე მეტი დრო „ფორმულას“ ეთერში დაეთმო. დროის 4% დაეთმო დადებით გაშუქებას. ყველაზე პოზიტიური გაშუქება პარტიას ჰქონდა „რუსთავი 2“-ზე. დროის 8% დადებითი ტონით გაშუქებას დაეთმო.
- მთავრობა ყველაზე პოზიტიურად POSTV-ს ეთერში გაშუქდა. დროის 38 % დადებითი ტონით გაშუქებას დაეთმო.
- ხელისუფლებისადმი ყველაზე კრიტიკული ტონი აქვს „მთავარ არხს“. დროის 69 % უარყოფითი ტონით გაშუქებას აქვს დათმობილი.
- „მთავარ არხს“ მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ და მიხეილ სააკაშვილის მიმართ.
- „პირველ არხზე“ ყველაზე პოზიტიურად პრემიერმინისტრი, გიორგი გახარია გაშუქდა. დროის 14 % დადებითი ტონით მის გაშუქებას აქვს დათმობილი და ყველაზე უარყოფითი ტონით კი მიხეილ სააკაშვილის გაშუქებას - დროის 47 %.
- „პირველ არხს“ ხელისუფლებისადმი არაკრიტიკული, ლოიალური სარედაქციო პოლიტიკა აქვს.

- მიხეილ სააკაშვილს ყველაზე მეტი დრო POSTV-მ დაუთმო. ყველაზე უარყოფითად მიხეილ სააკაშვილი სწორედ ამ არხზე გაშუქდა და უარყოფითი ტონით გაშუქებამ 86 % შეადგინა. მიხეილ სააკაშვილი ყველაზე დადებითად „მთავარი არხის“ ეთერში გაშუქდა. მისთვის დათმობილი დროის 24 % მის დადებით შეფასებას მიეძღვნა.
- „იმედი“ და POSTV ხელისუფლებისადმი მიკერძოებით გამოირჩევა. აქ მმართველი გუნდი აბსოლუტურად დადებითადაა წარმოდგენილი. ამ არხებზე ოპოზიცია მაქსიმალურად დისკრედიტირებულია.
- „ობიექტივი“ ერთადერთი არხია, რომელიც ტრადიციულად ყველაზე მეტ დროს უთმობს „პატრიოტთა ალიანსს“ და ყველაზე მეტი დადებითი გაშუქებაც მას ამ არხზე ჰქონდა - დროის 43%.
- მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა, რომ წინასაარჩევნო მედიაგარემო პლურალისტური, თუმცა მკვეთრად პოლარიზებული იყო. მაუწყებელთა ერთი ნაწილი ხელისუფლებისადმი იყო მიკერძოებული, მეორე კი ოპოზიციისადმი. მიკერძოება არასასურველი საარჩევნო სუბიექტის ნეგატიურ გაშუქებაში გამოიხატებოდა.
- გასულ წლებთან შედარებით გაზრდილია პროფესიული ეთიკის დარღვევისა და მანიპულირების შემთხვევები. ხშირია გონივრული ბალანსის დარღვევის და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების ფაქტები.
- სატელევიზიო ახალ ამბებში პრობლემად რჩება მოვლენების ზედაპირულად გაშუქება. მაუწყებლების ეთერში იშვიათად გვხვდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების სიღრმისეული ანალიზი.
- წინა წლების მსგავსად, თითქმის ყველა არხზე პრობლემად რჩება საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებული სიღრმისეული, მოკვლევითი სიუჟეტების სიმცირე, რაც ამომრჩეველს დაეხმარებოდა ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.
- მაუწყებლების ნაწილი ხშირად იყენებდა სამთავრობო უწყებების პრესსამსახურების მომზადებულ მასალებს მათ წარმომავლობაზე ნათლად მითითების გარეშე.
- სატელევიზიო ახალ ამბებში კვლავ გვხვდება სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული ლექსიკის გამოყენების შემთხვევები. ამ მხრივ გამორჩეულია „ობიექტივი“, სადაც, ტრადიციულად, ამჯერადაც არაერთხელ დაფიქსირდა ქსენოფობიური განცხადებები.
- წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემას წარმოადგენდა გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი განცხადებების უცვლელად და უკომენტაროდ გაშუქება.
- მონიტორინგის პერიოდში სექსისტური განცხადებების ტირაჟირების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. სექსისტური განცხადების ავტორები პოლიტიკოსებთან ერთად იყვნენ ჟურნალისტებიც.

მონიტორინგისთვის შერჩეული სატელევიზიო არხების ანალიზი


პირველი არხი

რაოდენობრივი შედეგები

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ „პირველი არხის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მომბე 21 საათზე“ და გადაცემას „ახალი კვირა“.

„პირველ არხზე“ მონიტორინგის პერიოდში „მომბეში“ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. ყველაზე დადებითად პრემიერმინისტრი, გიორგი გახარია გაშუქდა (მისთვის დათმობილი დროის 14 %). ყველაზე უარყოფითად „პირველ არხზე“ მიხელი სააკაშვილი გაშუქდა (მისთვის დათმობილი დროის 47 %).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
საზოგადოებრივი მაუწყებელი
15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



შინაარსობრივი შედეგები

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ „პირველი არხი“ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბების გაშუქებისას მეტწილად იცავდა ეთიკურ სტანდარტებს. თუმცა

მრავალთვიანი დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არხი ამჟღავნებს ხელისუფლების მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას.

არხისთვის კვლავ პრობლემად რჩება სიღრმისეული, ექსკლუზიური მასალების არსებობა.

„მოამბის“ ეთერში შუქდება ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, მაგრამ საანგარიშო პერიოდში თითქმის არ გასულა მწვავე, ხელისუფლების მამხილებელი კრიტიკული სიუჟეტები. პირველი არხის საერთო-სარედაქციო პოლიტიკა ხელისუფლების მიმართ არაკრიტიკული და ლოიალურია.

„მოამბეში“ ძირითადი სპიკერები მმართველი პარტიის წარმომადგენლები არიან. ნებისმიერ საკითხზე, თუნდაც არ ეხებოდეს ის ხელისუფლებას და განიხილავდეს, მაგალითად, ოპოზიციის გეგმებს, სიუჟეტის ბოლოს, როგორც წესი, არის ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარი, მთავრობიდან თუ მმართველი პარტიიდან. „მოამბის“ სიუჟეტებში საბოლოო, დასკვნითი სიტყვა ეკუთვნის სწორედ მმართველი გუნდის წარმომადგენლებს. ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრება ყოველთვის ბათილდება ამ ხელისუფლების წარმომადგენლების, როგორც წესი, უფრო ხანგრძლივი კონტრარგუმენტებით. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევებში ბალანსი ფორმალურადაა დაცული.

„პირველ არხს“ საანგარიშო პერიოდში თითქმის არ ჰქონია მწვავე ექსკლუზიური მასალა - არხის ჟურნალისტებს არ გამოუვლენიათ კორუფციისა და ადამიანის უფლებების შემლახავი ფაქტები.

„მოამბე“ არჩევნებში ჩართული სუბიექტების აქტივობას ძირითადად ფორმალური ბალანსის დაცვით და ზედაპირულად აშუქებდა. შეხვედრები ამომრჩეველთან, კანდიდატის წარდგენა მოსახლეობისთვის, საარჩევნო პროგრამის წარდგენა და სხვ. ამ შინაარსის სიუჟეტებიდან ამომრჩეველი ვერ იღებდა ამომწურავ ინფორმაციას.

აღსანიშნავია, რომ 30 სექტემბრიდან „მოამბის“ ეთერში თანაბრად ეთმობოდა 5-5 წუთი, როგორც კვალიფიციურ, ასევე არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს. თუმცა ეს ფორმატიც ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველის ამომწურავ ინფორმირებას.

რაოდენობრივი მონიტორინგის შედეგების თანახმად, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში „ქართულ ოცნებას“ ორჯერ მეტი დრო დაეთმო, ვიდრე „ნაციონალურ მოძრაობას“. საანგარიშო პერიოდში ყველაზე პოზიტიურად პრემიერმინისტრი გიორგი გახარია და მთავრობა გაშუქდა. პარტიებს შორის ყველაზე დადებითი ტონით „ქართული ოცნება“ გაშუქდა (დათმობილი დროის 9 %). ამასთან, მმართველი პარტიის კრიტიკული ტონი აღემატებოდა დადებითს და მან დათმობილი დროის 13 % შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის რაოდენობრივ მაჩვენებლებში

„ქართული ოცნების“ კრიტიკული ტონი ძირითადად მისი პოლიტიკური ოპონენტების კომენტარებით იყო განპირობებული.

„პირველი არხი“ ზოგჯერ, მმართველი გუნდისთვის კრიტიკულ მომენტში, ხელისუფლებისადმი მიკერძოებას ავლენდა და არღვევდა ეთიკურ სტანდატებს. ასეთი იყო სიუჟეტი, რომელიც დავითგარეჯის საქმეს ეხებოდა და არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, 16 ოქტომბერს გავიდა „მომამბეში“. [სიუჟეტში](#) „დავითგარეჯის საქმე - პოლიტიკური შეფასებები“ თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მხრიდან გაჟღერდა მძიმე, დაუსაბუთებელი ბრალდებები და შეურაცხმყოფელი ფრაზები ოპოზიციის და კერძო ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას მიმართ.

10-წუთიანი სიუჟეტის წარდგენისას წამყვანი აღნიშნავს, რომ დავითგარეჯის საქმე არის „რეზონანსული საქმე, რომელიც უკვე გასცდა სამართლებრივ სივრცეს“. მისივე თქმით, „პოლიტიკური ვნებათაღელვა არ ცხრება საზღვრების საქმეზე დაწყებული ძიების გარშემო. ურთიერთბრალდებები განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც თავდაცვის მინისტრმა 1938 წლის რუკის ორიგინალის მოძიების ისტორიაზე ვრცლად ისაუბრა და ოპოზიცია, გვარების დაკონკრეტების გარეშე, სახელმწიფოს ღალატში დაადანაშაულა“. მისი თქმით, „სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერმინისტრობის დროს დაიწყო დავითგარეჯის სადავო ნაწილის გარშემო კარტოგრაფიული მასალების ძიება, ამ ყველაფერს კი წინ ექსპრემიერსა და არქიმანდრიტ კირიონს შორის დიალოგი უძღოდა“. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტი ძირითადად აგებულია თავდაცვის მინისტრის იმ ბრალდებებზე, რომლებიც მან ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გააჟღერა: „ბრიყვები არ არიან, ესენი არიან მოღალატეები!“ ნორმალურ ქვეყანაში ასეთი პოლიტიკური ორგანიზაცია დაიხურებოდა!“ „პირველი არხის“ ჟურნალისტს „იმედზე“ გასული ინტერვიუდან გამოყენებული აქვს ის ციტატები, სადაც ღარიბაშვილი ლაპარაკობს წინა ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს ღალატზე. მას, ასევე, არ სჯერა, რომ კომისიის დონეზე წყდებოდა მსგავსი საკითხები „საკაშვილის, ამ ნაძირალა დიქტატორის დროს“. თავისსავე კითხვაზე კი პასუხობს: „რა თქმა უნდა - არა, პასუხი მარტივია“. ამბის თხრობისას ჟურნალისტი ბიზნესმენ დავით ხიდაშელსაც ახსენებს და ამბობს, რომ სწორედ მისი დახმარებით მოხერხდა 1938 წლის ორიგინალი რუკის საქართველოში ჩამოტანა და რომ მინისტრისთვის „ლოგიკასაა აცდენილი ოპოზიციის ბრალდებებიც, რომელიც ამ საქმეში რუსულ ინტერესებს ეხება“. სიუჟეტში თავდაცვის მინისტრი ტელეკომპანია „მთავარი არხის“ აღმასრულებელ დირექტორს, ნიკა გვარამიასაც ახსენებს და ამბობს, რომ „მათ დაიწყეს პანიკა, ისტერიკა. აი, ის, მათი უგვანო კაცი, ეს ვინც არის - გვარამია - მათი გარყვნილი, მთელი ამ ბინძური ძალის წარმომადგენელი და სახე, რომ, თითქოს, რაღაცას ვაპირებთ. მერე გამოვიდა ეს მასხარა, ბოროტი მასხარა სააკაშვილი, რომელმაც ვერსია მისცა პირდაპირ პროკურატურას, რო იტყვიან, რომ 80 მილიონი დოლარი ავიღეო, გარეჯის გაყიდვაშიო“. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის ბოლოსკენ წარმოდგენილია საპარლამენტო ოპოზიციის წევრების

წამიანი შეფასებები, რომლებიც გარეჯის საქმის წამოწევას მმართველი გუნდის მხრიდან პროპაგანდას, პოლიტიკური ქულების დაწერის მცდელობას და შავ პიარსვლას უწოდებენ. აღნიშნული კომენტარები მხოლოდ ფორმალური ბალანსის დაცვას ემსახურება და ეთერში გაჟღერებული ბრალდებების და შეურაცხყოფების საპირწონეს არ წარმოადგენს. პირველი არხის მაყურებელს ამ შემთხვევაში არ მიეწოდა დაზუსტებული ინფორმაცია დავით გარეჯის საქმის შესახებ და, მათ შორის, არ გაჟღერებულა ინფორმაცია, რომ ეს საქმე სასამართლო განხილვის ეტაპზეა და თავდაცვის მინისტრის ბრალდებები მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მცდელობაა.

საარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების აქტივობების გაშუქებისას

არხის პოლიტიკა საკმაოდ მკაცრი და კრიტიკულია ოპოზიციის მიმართ. არჩევნების მეორე ტურამდე „მომბემი“ არაერთი კრიტიკული მასალა მომზადდა ოპოზიციის მიმართ. მაგალითად, სიუჟეტები შეეხებოდა ისეთ თემებს, რომ ოპოზიცია უარით პასუხობს საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებებს, რომ მიხეილ სააკაშვილი თავს ესხმის ევროპული ინსტიტუტების წარმომადგენლებს, რომ ოპოზიციაში არ არის თანხმობა და, ასევე, ოპოზიციის ნაწილში შეუთანხმებლობაა „სირცხვილის დერეფნის“ საკითხზეც. ეს სიუჟეტები იმეორებდა იმავე გზავნილებს, რომლებიც ხელისუფლებას აქვს ოპოზიციის მიმართ. და ამავე დროს ამ სიუჟეტებში მმართველი გუნდი წარმოჩენილიყო იყო, როგორც მოლაპარაკებებისთვის მზად მყოფი ძალა.

არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად შეინიშნებოდა ოპოზიციის, კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაციის მცდელობა.

26 -29 ოქტომბერს „მომბემი“ გააშუქა ორგანიზაციის „დავასრულოთ“ განცხადება, სადაც ორგანიზაციის წარმომადგენელი სოსო მანჯავიძე კვლავ ითხოვდა „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებრივ პარტიად [გამოცხადებას](#). ასევე, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ამავე ორგანიზაციის საპროტესტო მსვლელობა ქუთაისში.

წამყვანმა [სიუჟეტი](#) ასე წარადგინა: „არა სააკაშვილს! არა ბოკერიას! არა ნაცმოძრაობას! ამ სახელწოდებით ქუთაისში აქცია-მსვლელობა გაიმართა. მონაწილეების განცხადებით, აქციის მიზანია, გაჟღერდეს მოწოდება „ქუთაისი ნაცების გარეშე!“. მათივე თქმით, ქუთაისის მოსახლეობის უმეტესობა მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“. აქციის მონაწილეებს მოგვიანებით პარტია „ქართული ოცნების“ ქუთაისის მერობის კანდიდატი იოსებ ხახალაიშვილი და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ზაზა ლომინაძე შეუერთდნენ. აქციაზე შეკრებილებს სიტყვით მიმართა ბუტა რობაქიძის დედამ, ია მეტრეველმა.“ წინასაარჩევნოდ მსგავსი ორგანიზაციის მოწოდებებისა და აქციების ამ ფორმით გაშუქება ცალსახად ქმნის ნეგატიურ ფონს ოპოზიციის საზიანოდ.

დაუდასტურებელი ინფორმაცია შესაძლო პროვოკაციაზე გავრცელდა „პირველი არხის“ ეთერში მეორე ტურის არჩევნების დღეს, 21 ნოემბერს. [სიუჟეტი](#) წამყვანის თქმით, „ოპოზიციის ბოიკოტის მიუხედავად, მმართველ გუნდში განმარტავენ, რომ მათი ოპონენტები მთელი დღის განმავლობაში საკუთარი მხარდამჭერების მობილიზებას ახდენდნენ. „ქართულ ოცნებაში“ „იმ შესაძლო პროვოკაციებზეც საუბრობენ, რომელზეც მათ წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია მიღებული“. იგივე ნარატივი მეორდება შემდეგი სიუჟეტის ავტორის ტექსტშიც და მთავარი რეპონდენტებიც „ქართული ოცნების“ ლიდერები მამუკა მდინარაძე და ირაკლი კობახიძე არიან. ამ შემთხვევაში ფორმალური ბალანსიც კი არ იყო დაცული და სიუჟეტი ისე დასრულდა, რომ ამ ბრალდებებზე ოპოზიციის მოსაზრებები არ მოგვისმენია. ასეთი დაუბალანსებელი გაშუქებით „პირველმა არხმა“ მეორე ტურამდელ პერიოდში გაამყარა ხელისუფლების ნარატივი, რომ ოპოზიცია ახდენდა საკუთარი მხარდამჭერების ფარულ მობილიზებას პროვოკაციის მოსაწყობად.

მიკერძოებულად გააშუქა „პირველმა არხმა“ არჩევნების მეორე ტურის წინ, 16 ნოემბერს „ენმ - „ძალა ერთობაშიას“ მაჟორიტარი კანდიდატის ნიკა მელიას საარჩევნო შტაბის ოფისის დაწვის ამბავი. ე.წ „კადრსინქრონიში“, რომელიც იმ დღეს „პირველმა არხმა“ მე-10 მასალად გაუშვა, ინფორმაციის მიჩქმალვას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ეთერში არ მოხვდა ნიკა მელიას მედიასთან გაკეთებული განცხადების ის ნაწილი, სადაც მან ოფისის გადაწვაში [„კობიაშვილ-კალამესთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი „კანონიერი ქურდი“ ნოდარ შუკაკიძე](#) დაასახელა. თუმცა „ქართული ოცნების“ წევრმა თავად მელია დაადანაშაულა ზონდერჯგუფებთან თანამშრომლობაში. ოპოზიციონერი დეპუტატის ოფისის დაწვის თემა „პირველმა არხმა“ მეორე დღესაც გააგრძელა და გავრცელა დაუბალანსებელი და ცალმხრივი ინფორმაცია [„გამოხმაურება ნიკა მელიას ბრალდებაზე“](#). მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ამჯერადაც არ მოხვდა ნიკა მელიას განცხადება. წამყვანი მხოლოდ პერიფრაზირებით შემოიფარგლა და ნოდარ და ლევან შუკაკიძეების ადვოკატებმა ოპოზიციის წევრი აქეთ დაადანაშაულეს და მას „9-წლიანი რეჟიმი“ შეახსენეს.

წინასაარჩევნო მონიტორინგის განმავლობაში „პირველი არხი“ პოზიტიურად წარმოაჩენდა ადმასრულებელ ხელისუფლებას, სამთავრობო გადაწყვეტილებების და სახელმწიფო პროგრამების დადებითი ტონით გაშუქების გზით. მათ შორის, განსაკუთრებით პოზიტიურად აშუქებდა პრემიერმინისტრ გიორგი გახარას. აღსანიშნავია, რომ „პირველი არხის“ ეთერში ხელისუფლების დადებითი ტონით გაშუქება მხოლოდ COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის მართვის თემას არ უკავშირდებოდა. მაგალითად, 17 ივნისის 7-წუთიანი [სიუჟეტი](#) მიემდგვნა გიორგი გახარას საარჩევნო გზავნილებს. როგორც წამყვანები, ისე სიუჟეტის ავტორი მხოლოდ „ქართული ოცნების“ საარჩევნო მესიჯებზე, დაპირებებსა და გეგმებზე საუბრობდნენ და, როგორც გახარას, ისე მმართველ გუნდს მხოლოდ დადებით კონტექსტში წარმოაჩენდნენ. არ დაისვა არცერთი კრიტიკული კითხვა გახარას მიმართ, არ წამოიჭრა პრობლემა, რომელიც

შეიძლება მათი მმართველობის დროს გამოჩნდა. „რატომ - „ქართული ოცნება“ - საკუთარი გუნდის უპირატესობებზე საუბრისას [გახარიას] რამდენიმე არგუმენტი აქვს: 2012 წელს ხელისუფლებაში მოსული ძალის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი არის მზრუნველობა, ჰუმანურობა და ის, რომ ამ ქვეყანას გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივა მისცა“. ამასთან, სიუჟეტში უარყოფითადაა წარმოჩენილი ოპოზიცია. „პრემიერს საკუთარი გუნდის სასარგებლოდ კიდევ ერთი არგუმენტი აქვს. როგორც თავად აღნიშნავს, „ქართული ოცნება“, ოპონენტებისგან განსხვავებით, უფრო მეტად ზრუნავს სახელმწიფოზე. ამიტომ უკვირს გიორგი გახარიას, როგორ შეუძლია ოპოზიციას, საკუთარი ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, ინფორმაციის საზღვრებს გარეთ ისე გატანა, რომ ხელისუფლებათან ერთად დარტყმა საკუთარ ქვეყანასაც მიაყენოს“, ამბობს ჟურნალისტი. მიუხედავად ჟურნალისტის თითქოს ნეიტრალური ლექსიკისა, აქცენტი ოპოზიციის, „ქართული ოცნების“ აზრით, არასწორ ქმედებებზე კეთდება. დასაბალანსებლად ორ ოპოზიციონერ დეპუტატს, ჯამში, 40 წამი დაეთმო და საბოლოოდ, მათი პოზიცია განეიტრალდა „ქართული ოცნების“ ლიდერების, ირაკლი კობახიძის და კახა კალაძის კომენტარებით, რომელთაც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდზე და ოპოზიციის დესტრუქციულობაზე გააკეთეს აქცენტი.

„მოამბეში“ პრემიერმინისტრის გარდა პოზიტიური სიუჟეტები გავიდა აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებზეც, მათ შორის, ჯანდაცვის და იუსტიციის მინისტრებზე. სიუჟეტების წყობა, ჟურნალისტების ტექსტები მხოლოდ დადებითად წარმოაჩენდა მინისტრების საქმიანობას.

მაგალითად, 18 ივნისს 6-წუთიანი სიუჟეტი მიეძღვნა ჯანდაცვის სამინისტროს ერთწლიანი ანგარიშის პრეზენტაციას, სადაც მხოლოდ დადებად იყო წარმოჩენილი, როგორც მინისტრის, ასევე მთავრობის მუშაობა. ჟურნალისტი დადებითი ტონით აღწერდა, როგორ ეფექტიანად ებრძვის ჯანდაცვის სამინისტრო კორონავირუსს. 6-წუთიან სიუჟეტში არ გაჟღერებულა განსხვავებული მოსაზრება, არ დასმულა კრიტიკული კითხვა სისტემაში არსებული ხარვეზების შესახებ. „ზრუნვის სამინისტრო“ - ასე შეაფასა ჯანდაცვის უწყება პრემიერმინისტრმა იმავე სიუჟეტში. გიორგი გახარია დარწმუნებულია, რომ ვირუსის მეორე ტალღის შემთხვევაში სისტემა ისევე ეფექტიანად შეძლებს რეაგირებას, როგორც აქამდე რეაგირებდა.

ასევე, სრულიად უკრიტიკოდ გაშუქდა იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის 8-წლიანი მუშაობის შემჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია. 29 სექტემბერს „მოამბეში“ პრეზენტაციის ადგილიდან ჩართულმა ჟურნალისტმა ხაზი გაუსვა იმ რეფორმებს, რომლებიც მინისტრმა წარმატებულად მიიჩნია. „თეა წულუკიანმა დეტალურად ისაუბრა მართლმსაჯულების სისტემის სამ ტალღაზე, რომლებიც, როგორც მინისტრმა აღნიშნა, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ქვეყანაში ადამიანის უფლებებს, მათ შორის, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხს. ასევე, მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა გახდა დაცული. თეა წულუკიანმა ისაუბრა აქ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

კოდექსზეც, რომელიც, მინისტრის შეფასებით, არის ინოვაციური და ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად ითვლება ევროპის მასშტაბით“. სიუჟეტში არაფერი თქმულა იმ კრიტიკაზე, რომელიც წლების განმავლობაში ისმოდა მინისტრის მიმართ. მათ შორის, არ უხსენებიათ სასამართლო რეფორმის ჩავარდნა, რაც არაერთი ორგანიზაციის შეფასებაშია მოხსენიებული. ასევე, მაყურებელმა ვერ მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რეფორმების განხორციელების საქმეში პარტნიორი ორგანიზაციები თვა წულუკიანს უნდობლობას უცხადებდნენ და მის გადადგომასაც [მოითხოვდნენ](#).

ასევე, ხელისუფლებისთვის „სენსიტურ“ თემას ეძღვნებოდ [სიუჟეტი](#) 20-21 ივნისის მოვლენებისადმი მიძღვნილი აქციის შესახებ. ჟურნალისტი სიუჟეტში

ხელისუფლების პოზიციიდან წარმოგვიდგენს 2019 წლის 20 ივნისს განვითარებულ მოვლენებს. ის აქციაზე მისულ პოლიტიკოსებს ეკითხება: „ეთანხმებით თუ არა ფორმულირებას, რომ გულწრფელი პროტესტი გამოყენებულ იქნა პოლიტიკური ინტერესებისთვის?“. - ეს „ქართული ოცნების“ პოზიციის გამეორებაა.

„ქართული ოცნების“ სასარგებლოდ მანიპულაციური სიუჟეტი გავიდა 15 ივნისს „მომბეში“. „რესპუბლიკელი კონგრესმენის განცხადება“ [საზოგადოებრივი მაუწყებლის მტკიცებით](#), აშშ-ს კონგრესის რესპუბლიკური პარტიის სამუშაო ჯგუფის ანგარიშში ნახსენები წინადადება „ბიძინა ივანიშვილი პუტინის მოკავშირეა“ კონტექსტიდან „აბსოლუტურად არის ამოვარდნილი“. საინფორმაციო გამოშვების წამყვანი და რეპორტიორი, რომელიც ამბის დეტალებს ყვება, ყურადღებას არ ამახვილებენ ამერიკელი კონგრესმენის განცხადების სრულ შინაარსზე და მმართველი გუნდის სასურველ მესიჯს იმეორებენ. ისინი არ ცდილობენ, გადაამოწმონ ან სრულად აჩვენონ მაყურებელს კონგრესმენის განცხადება. სიუჟეტში მანიპულაციურად ხდება „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის „პუტინის მოკავშირეობის“ განეიტრალება და აქცენტი კეთდება აშშ-სა და საქართველოს შორის პარტნიორულ ურთიერთობებზე.

გენდერული სტერეოტიპები „პირველ არხზე“

17 აგვისტოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავიდა სიუჟეტი „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია“. უფრო კონკრეტულად სიუჟეტი შეეხებოდა ქალაქ რუსთავში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნინო ლაცაბიძის წარდგენას. სიუჟეტის ავტორმა ნინო ლაცაბიძის დახასიათებისას თქვა ასეთი რამ: „და ბოლოს, ის არის ოთხი შვილის დედა“. „ნინო ლაცაბიძე არის რუსთაველი, რუსთავში დაბადებული და გაზრდილი, ის ამჯერად არის თბილისის საკრებულოს წევრი. ის არის პროფესიით დიპლომატი და აცხადებს, რომ კარგად იცნობს რუსთაველთა პრობლემებს და მზად არის გამოწვევებისთვის, და ბოლოს, ის არის ოთხი შვილის დედა.“ მართალია, სიუჟეტის ავტორს ნინო ლაცაბიძეზე, როგორც მრავალშვილიან დედაზე არ გაუკეთებია მთავარი აქცენტი,

როგორც ეს მისი წარდგენისას იყო, მაშინ, როდესაც, „ქართულმა ოცნებამ“ კანდიდატები დაასახელა, მაგრამ მისი დახასიათებისა და კვალიფიკაციების ჩამონათვალში, თქმა იმისა, რომ „და ბოლოს, ის არის ოთხი შვილის დედა“, არის სექსისტური და აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალის მთავარი მოვალეობა დედობაა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზია“

რაოდენობრივი შედეგები


სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ 20 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზიის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მთავარი“.

„აჭარის ტელევიზიის“ საინფორმაციო გამოშვება „მთავარის“ ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. „ქართული ოცნება“ გაშუქდა ყველაზე ნეგატიურად (დროის 20 % უარყოფითი ტონით). ყველაზე დადებითად აჭარის მთავრობა გაშუქდა (დათმობილი დროის 9 % დადებითი ტონით).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

აჭარის ტელევიზია

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



შინაარსობრივი შედეგები

საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზიის“ საინფორმაციო გამოშვებაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბები ძირითადად, ეთიკური სტანდარტების დაცვით შუქდებოდა. თუმცა არხისთვის ძირითად გამოწვევად კვლავ რჩება ანალიტიკური, სიღრმისეული მასალების ნაკლებობა და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ზედაპირული გაშუქება.

სამონიტორინგე პერიოდში ყველა თემა უმეტესად ზედაპირულად შუქდებოდა. სიუჟეტის დასაწყისში ჟურნალისტის მიერ დასმულ პრობლემურ საკითხებზე მაყურებელი ხშირად ვერ იღებდა ნათელ პასუხს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჟურნალისტები პრობლემურ თემებზე ადგილობრივი თვითმმართველობისა და აჭარის მთავრობისგან პასუხის მოთხოვნაზე უკან არ იხევნ.

„აჭარის ტელევიზია“ გამოირჩეოდა ადგილობრივი პრობლემების გაშუქებით. მის ეთერში ხშირად ისმოდა მოქალაქეების ხმა. სიუჟეტებში რესპონდენტები ჩიოდნენ გაჭირვებაზე, რომელიც უკავშირდება როგორც კორონავირუსის გამო დაწესებულ შეზღუდვებს, ისე ლარის კურსის გაუფასურებას და გაძვირებულ საკვებსა თუ მომსახურებას. აჭარის ტელევიზიიდან მოქალაქეების მხრიდან ხშირად ისმოდა ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების კრიტიკა.

პოლიტიკური პარტიების აქტივობის გაშუქება ხდებოდა მიუკერძოებლად, ზედაპირულად, მხოლოდ აქტივობის ფაქტის გადმოცემით და მნიშვნელოვან ინფორმაციას პარტიებზე, კანდიდატებსა და საარჩევნო პროგრამებზე ვერ აწვდიდა მაყურებელს.

აღსანიშნავია, რომ ოქტომბრიდან „მთავარის“ ეთერში, რუბრიკაში „მაჟორიტარის პლატფორმა“ თანაბრად ეთმობოდა 6-6 წუთი საქართველოს პარლამენტში აჭარის მაჟორიტარი დეპუტატობის და აჭარის უმაღლეს საბჭოში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს. ეს ფორმატი ხელს უწყობდა ამომრჩევლის უკეთ ინფორმირებას.

აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, მეტ-ნაკლებად, დაცული იყო მხარეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება, თუმცა გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მონიტორინგის პირველ ეტაპზე, რიგ შემთხვევებში სარედაქციო პოლიტიკა სამთავრობო გუნდის და მმართველი პარტიის მიმართ მიკერძოებული იყო და მეტ დროს მმართველ პარტიის აქტივობების გაშუქებას უთმობდა. მაგალითად, აჭარაში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენით დაიწყო და თითქმის 26 წუთს გაგრძელდა პირდაპირი ეთერი 29 აგვისტოს საინფორმაციო გამოშვებაში. 31 აგვისტოს კი ქობულეთსა და ხელვაჩაურში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების [წარდგენა გაშუქდა](#), თუმცა კანდიდატების საქმიანობის შესახებ არაფერი თქმულა და არც კრიტიკული კითხვები დასმულა ჟურნალისტების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი კანდიდატის, ანზორ ბოლქვაძის

ეკონომიკური ინტერესების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ კვლევაც გამოაქვეყნა. ამ ფონზე ისე გაშუქდა 12 აგვისტოს „ლელო საქართველოსთვის“ მაჟორიტარების წარდგენა, რომ კადრებიც კი არ უჩვენებიათ კანდიდატების გამოსახულებით. ასევე, მაუწყებელმა სრულად აჩვენა

„ქართული ოცნების“ [პირველი ოცეულის წარდგენის ღონისძიება](#) და 10 სექტემბერს 27 წუთი დაუთმო მას პირდაპირ ეთერში.

მეორე საანგარიშო პერიოდი დაემთხვა აჭარაში კორონავირუსის ეპიდემიის ვითარების გამწვავებას, რაც აისახა მონიტორინგის შედეგებზე, როგორც რაოდენობრივ, ასევე შინაარსობრივ ნაწილში. კერძოდ, საინფორმაციო გამოშვებაში საარჩევნო სუბიექტების პოლიტიკური პარტიების აქტივობის გაშუქებაზე მეტად ეთერი ეპიდემიის მართვას და მის შედეგებს ეთმობოდა. ამ პერიოდიდან გამოიკვეთა საინფორმაციო გამოშვებაში აჭარის მთავრობის და მისი თავმჯდომარის, თორნიკე რიჟვაძის პოზიტიურად წარმოჩენის და „ნაციონალური მოძრაობის“ უარყოფით ტონში გაშუქების ტენდენცია.

აჭარის მთავრობის მეთაურისადმი მიკერძოება თვალსაჩინო იყო, როგორც ვრცელი [ინტერვიუს](#) დროს, როდესაც მისთვის არ დაუსვამთ კრიტიკული კითხვები და სტუმარს მიეცა საშუალება, დადებით კონტექსტში წარმოეჩინა მთავრობის საქმიანობა. ასევე, არჩევნების წინ აქტიურად შუქდებოდა და აჭარის მთავრობას დადებითად წარმოაჩენდა ინფორმაცია უკვე დასრულებული ან დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. მათ შორის, სტადიონის საზეიმო გახსნა ბათუმში და დაგეგმილი პროექტების პრეზენტაციები ბათუმსა და ჩაქვში.

„აჭარის ტელევიზიის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ზოგჯერ შეიმჩნეოდა სახელისუფლებო მესიჯბოქსის ტირაჟირების მცდელობა - არჩევნების მოახლოებასთან ერთად გახშირდა მმართველი პარტიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ტირაჟირება „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან „მოსალოდნელი დესტაბილიზაციის“ შესახებ. თუმცა მათ არ წარმოუდგენიათ მოსალოდნელი არეულობის დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული მტკიცებულება, გარდა მმართველი პარტიის წარმომადგენლების განცხადებებისა. მაუწყებელმა არაერთი სიუჟეტი მიუძღვნა ხულოში, დიდაჭარის ინციდენტსაც, სადაც აჭარის მთავრობის მეთაური ადგილობრივმა მცხოვრებლებმა წინასაარჩევნო შეხვედრაზე არ შეუშვეს სოფელში. ეს ინციდენტი მაუწყებელმა გააშუქა იმ კონტექსტში, რომ რიჟვაძეს ხელი შეუშალეს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა.

„ვის აქვს პოსტსაარჩევნო რევილუციური გეგმა“ - 28 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვება გაიხსნა თემით, რომელიც შეეხებოდა „ქართული ოცნების“ მტკიცებას იმის შესახებ, რომ არჩევნების შემდგომ ოპოზიცია არეულობის მოწყობას გეგმავს. სიუჟეტის მთავარი

გმირები იყვნენ ირაკლი კობახიძე და მამუკა მდინარაძე და მაუწყებელიც მხოლოდ ერთ წყაროს - მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ეყრდნობოდა

27 ოქტომბერს ხუთი სიუჟეტი მიემდგვნა ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ოპოზიციურ პარტიებთან აფილირებული სადამკვირვებლო ორგანიზაციების გამოვლენილი სქემის შესახებ.

- არჩევნებზე რეგისტრირებული დამკვირვებლები
- ოპოზიციური არასამთავრობოები თბილისში
- რა დევს პოლიტიკურ სასწორზე
- ოპოზიციური არასამთავრობოები ბათუმში
- ყალბი სამოქალაქო აქტივობის რისკები

სიუჟეტები სრულად ემყარებოდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებებს, სადაც მაყურებელმა ვერ იხილა ინფორმაცია, აქვთ თუ არა მსგავსი ორგანიზაციები დაფუძნებული მმართველ პარტიასთან აფილირებულ პირებს და არც ის გაუხსენებიათ, როგორ იყო დარეგისტრირებული წლების წინ არჩევნებზე „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირებული ორგანიზაცია, როცა ის ოპოზიციაში იყო.

თემაზე მოწვეულ სტუმართან დასმულ კითხვებში საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა, რომელიც მოსალოდნელ არეულობაზე აკეთებდა აქცენტს, სადამკვირვებლო ორგანიზაციები ტროლ გვერდებს შეადარა.

„ბატონო ვახტანგ, 4 დღე დარჩა არჩევნებამდე, რა დაგანახვით „ქართული ოცნების“ დღეს გამოქვეყნებულმა სქემამ, რა გითხრათ ახალი, როდესაც ყოველთვის საუბრობდა ოპოზიცია, რომ ხელისუფლება თავად ებრძოდა მათ ამ და სხვაგვარი მეთოდებით, თუნდაც ტროლ გვერდებზე საუბრობდნენ, ახლა აღმოჩნდა, რომ თავად ჰქონია ოპოზიციას არასამთავრობო ორგანიზაციებთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი“, - ამ კითხვით დაიწყო საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა გიორგი აბაზაძემ საუბარი პოლიტოლოგთან.

გენდერული სტერეოტიპები საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზიაზე“

მონიტორინგის პერიოდში „აჭარის ტელევიზიით“ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაკეთებულა.

პალიტრა ტვ

რაოდენობრივი შედეგები


„პალიტრა ტვ“-ს ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 20 საათზე.

სამონიტორინგო პერიოდში „პალიტრა ტვ“-მ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაუთმო და ყველაზე პოზიტიურად „ქართული ოცნება“ გააშუქა (დროის 28 % დადებითი ტონით). ყველზე ნეგატიურად არხი ადგილობრივ მთავრობას წარმოაჩენდა (დროის 17 % უარყოფითი ტონით).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

პალიტრა ტვ

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



„პალიტრა ტვ“-ს საინფორმაციო გამოშვებაში შუქდება მიმდინარე ახალი ამბები. არხი მეტწილად იცავს ეთიკურ სტანდარტებს,

საინფორმაციო გამოშვებაში არ იყენებენ არანორმატიულ ლექსიკას, ჟურნალისტის ტექსტები ძირითადად მშრალია და არ იკვეთება ვინმეს მიმართ მიკერძოება დადებითი ან უარყოფითი თვალსაზრისით. ეს საინფორმაციო გამოშვება არ ცდილობდა, მაყურებლისთვის მიეწოდებინა მრავალმხრივი მოსაზრებები ამბის შესახებ, ფაქტები სიღრმისეულად გამოეკვლია და უმეტესად ე.წ. კადრსინქრონის ფორმატით გაშუქებით შემოიფარგლებოდა.

„პალიტრა ტვ“-ს ეთერში ხშირად გადიოდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და პოლიტიკოსების საქმიანობის შესახებ მომზადებული მასალები, რომლებიც ამ უწყებების პიარ სამსახურების მიერ იყო შექმნილი და მათ უწევდა რეკლამირებას. თუმცა მაცურებლისთვის მკაფიოდ არ იყო გამიჯნული და ნათლად არ იყო მითითებული მათი წარმომავლობა.

მონიტორინგის პერიოდში „პალიტრა ტვ“ ყველაზე მეტ დროს მმართველ პარტიას და მთავრობას უთმობდა და მათ დადებითად წარმოაჩენდა. არხი დიდ დროს უთმობდა „ქართული ოცნების“ აქტივობის გაშუქებას. მაგალითად, 1-ელ ოქტომბერს, [„ქართული ოცნების“](#) პროგრამის პრეზენტაციიდან პირდაპირი ჩართვა 36 წუთს გაგრძელდა. ასევე, მთავარი საინფორმაციო გამოშვების დროს პირდაპირ ეთერში გადაიყვანა 30 ოქტომბერს მმართველი პარტიის შემაჯამებელი ღონისძიება. მთავარი საინფორმაციო გამოშვების დროს პირდაპირ ეთერში გადაიყვანა 30 ოქტომბერს მმართველი პარტიის შემაჯამებელი ღონისძიება.

27 ოქტომბერს [საინფორმაციო გამოშვების](#) დროს ასევე პირდაპირ ეთერში გადიოდა ბათუმის ცენტრალური სტადიონის ოფიციალური გახსნის ცერემონია, რასაც 10 წუთზე მეტი დაეთმო.

საანგარიშო პერიოდში პალიტრა ტვ-ს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში შესამჩნევი იყო ბალანსის პრობლემა, რომელიც ხშირად ოპოზიციური პარტიების საზიანოდ ირღვეოდა.

საანგარიშო პერიოდში პალიტრა ტვ-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში შესამჩნევი იყო ბალანსის პრობლემა, რომელიც ხშირად ოპოზიციური პარტიების საზიანოდ ირღვეოდა.

5 ნოემბერს საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა კახა კალაძის [ბრიფინგი](#) სადაც ის „ნაციონალურ მოძრაობას“ კლასტერს უწოდებს და ამბობს, რომ ეს კლასტერი საშიშია ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით. ამ ბრიფინგის შემდეგ გავიდა საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან პრემიერმინისტრის შეხვედრის ამსახველი კადრები, სადაც პრემიერი აქციების ფონზე ეპივითარების შესაძლო გაუარესებაზე საუბრობს. გახარია სინქრონს მოსდევს ცეკტიშვილის ბრინფინგიდან ნაწყვეტი სადაც ვიცე-პრემიერი ასევე ეპიდვითარების გაუარესების რისკებზე საუბრობს. ამ ნაწილში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა განმარტებები, ან პასუხი კალაძის ბრიფინგის საპასუხოდ, სადაც ის ენმ-ს ვირუსის გავრცელებისთვის საშიშ კლასტერს უწოდებს არ გვხვდება.

ასევე 9 ნოემბრის საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა პრემიერ- მინისტრის [განცხადება](#), სადაც ის მოუწოდებს ქუჩაში გასულ ოპოზიციას დაუბრუნდნენ მოლაპარაკების მაგიდას. გახარია სინქრონს მოჰყვა კალაძის ბრიფინგზე ინფორმაცია, სადაც ის ასევე საუბრობს მოლაპარაკების პროცესის მნიშვნელობაზე და ზოგიერთ ოპოზიციური პარტიას

მოუწოდებს არ აყენენ «დესტრუქციულ ძალებს». ამავე გადაცემაში ეპიდვითარებაზე აქციების შესაძლო გავლენის შესახებ გავიდა ამირან გამყრელიძის კომენტარი და არ გასულა არცერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელის შეფასება, ან კომენტარი ხელისუფლების წარმომადგენელთა შეფასებების საპასუხოდ.

გენდერული სტერეოტიპები „პალიტრა ტვ“-ზე


17 ივლისს გავიდა სიუჟეტი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ნინო ლაცაბიძის შესახებ. სიუჟეტში მოცემულია ირაკლი კობახიძის განცხადება კანდიდატზე და ამბობს, რომ ნინო ლაცაბიძეს აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება და აქცენტს აკეთებს მასზე, როგორც მრავალშვილიან დედაზე: „დღეს ის არის თბილისის საკრებულოს აქტიური წევრი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ ყველაფერს ის წარმატებით უთავსებს ოთხი შვილის დედობას.“ არხმა კობახიძის სექსისტური განცხადება ისე გაუშვა ეთერში, არ განუმარტავს, რომ ეს სექსიზმია, დისკრიმინაციული განცხადებაა ქალი პოლიტიკოსის მიმართ და მიუღებელია. ასევე უცვლელად, ჟურნალისტის განმარტების გარეშე, გავიდა 31 ივლისის სიუჟეტში რომან გოცირიძის გენდერული დისკრიმინაციის შემცველი ფრაზა პრეზიდენტის დროშის შესახებ: „სეპარატისტული ძალაუფლების კუნძულის შექმნა უნდა. თითქოსდა ის აქვს საკუთარი, სამხარეულოში რომ ქალები შეიკრიბებიან. თუ კაცები, ქალები გენდერულში რომ არ ჩამეთვალოს“.

მთავარი არხი

რაოდენობრივი შედეგები

„მთავარი არხის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „9 საათზე“, „შაბათის მთავარს“ და „პოსტ ფაქტუმს“.

ყველაზე მეტი დრო ამ არხის ეთერში „ქართულ ოცნებას“ დაეთმო (დროის 72 % ნეგატიური ტონი). „მთავარი არხი“ ყველაზე დადებითად მიხეილ სააკაშვილს (დროის 24 % პოზიტიური ტონი) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (13 % პოზიტიური ტონი) აშუქებდა.



შინაარსობრივი შედეგები

„მთავარი არხი“ მკვეთრად უარყოფითად აშუქებს ხელისუფლებას და მმართველ პარტიას. არხის სარედაქციო პოლიტიკა მთავრობისა და „ქართული ოცნების“ პოლიტიკის კრიტიკის, რიგ შემთხვევებში კი მთლიანად პარტიისა და კონკრეტული ადამიანების დისკრედიტაციისკენაა მიმართული.

„მთავარი არხი“ ხშირად არღვევს მიუკერძოებელი, ეთიკური ჟურნალისტიკის სტანდარტებს. თვალსაჩინოა, რომ არხის სარედაქციო პოლიტიკა მორგებულია ოპოზიციის, კონკრეტულად კი „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებზე, „ნაციონალურ მოძრაობას“ მთავარ ოპოზიციურ ძალას ეძახის და მათი წარმომადგენლების მოსაზრებების ტირაჟირებას ახდენს. არხი არ იცავს სუბიექტებს შორის გონივრულ ბალანსს და ხშირად აქვს ეთიკური პრობლემები.

„მთავარ არხზე“ თვალში საცემია „ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილისადმი მიკერძოება და კეთილგანწყობა. მათ გაცილებით დიდი დრო ეთმობა სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით. „მთავარი არხი“ მიხეილ სააკაშვილის თითქმის ყველა აქტივობას აშუქებს და თითქმის ყოველთვის პოზიტიურად. ეთერში გადაიცემა მიხეილ სააკაშვილის ვრცელი კომენტარები, ლაივ-ჩართვები, მისი გამოსვლები და შეხვედრები სხვა ქვეყნებში.

„მთავარი არხი“ გამოირჩევა ექსკლუზიური, მწვავე თემების მოძიებით და გაშუქებით. „მთავარი არხის“ ეთერში გადიოდა სიღრმისეული რეპორტაჟები განათლების სისტემის

პრობლემებზე, ეკონომიკურ კოლაფსზე, ჯანდაცვის სფეროს კრიზისზე, კორუფციაზე, დანგრეულ ინფრასტრუქტურაზე, შეჩერებულ პროექტებზე. „მთავარი“, მაყურებელს ხშირად სთავაზობს ექსკლუზიურ სიუჟეტებს მაღალი რანგის საჯარო მოხელეების დამალული ქონების შესახებ; არხზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სავარაუდო კორუფციული გარიგებებისა და ტენდერების თემას, რომელშიც მთავრობის წევრები ან მთავრობასთან აფილირებული პირები მონაწილეობენ; მაგრამ ხელისუფლების კრიტიკას, რაც მედიის ძირითადი დანიშნულებაა, ხშირად თან ახლავს ეთიკური დარღვევის ფაქტებიც. მმართველი პარტიის მიმართ გაჟღერებული ბრალდებების დროს ინფორმაცია ხშირად დაუბალანსებელია.

„მთავარი არხის“ ეთერში ხშირია დაუსაბუთებელი, არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება, როცა ჟურნალისტები ეყრდნობიან ერთ, ზოგჯერ არაიდენტიფიცირებულ ე.წ. კონფიდენციალურ წყაროს, რაც მათ გავრცელებულ ინფორმაციას ნაკლებ სანდოს ხდის.

19 ნოემბერს საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა [სიუჟეტი](#) „კობიაშვილის სუფრა გლდანში“. სადაც ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატმა, ლევან კობიაშვილმა მადლობის ნიშნად კოორდინატორები რესტორანში დაპატიჟა და აქეიფა, სადაც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა რუსული მუსიკის ფონზე მოილხინეს. თუმცა ამ ინფორმაციის უტყუარობის დამამტკიცებელი ფაქტი სიუჟეტში არ იყო.

არჩევნების წინ, 26 ოქტომბერს უმძიმესი, დაუსაბუთებელი ბრალდებები გაჟღერდა მმართველი პარტიის თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის შესახებ „ოლიგარქის მხილება - ივანიშვილის ბიოგრაფიის გაუხმაურებელი და აქამდე უცნობი ფაქტები“, [სიუჟეტი](#), რომელიც მხოლოდ ერთ წყაროს, ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულ პირთან, ელდარ გოგოლაძესთან ინტერვიუს ეყრდნობა. სიუჟეტი აგებული იყო მხოლოდ რესპონდენტის მოგონებებზე და ინფორმაცია არ იყო შემოწმებული და დადასტურებული. არ ჩანდა არცერთი სანდო წყარო ან მტკიცებულება, რაც ამბის რეალურობას დაამტკიცებდა. თუმცა ამას ჟურნალისტითვის ხელი არ შეუშლია, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსეთთან კავშირში, იარაღით ვაჭრობასა და სხვა უმძიმეს ბრალდებებში დაედანაშაულებინა. ამასთან, 12-წუთიან სიუჟეტში ჟურნალისტის მხრიდან არ ჩანს საპასუხო კომენტარის მოპოვების მცდელობაც კი.

27 ოქტომბერს ელდარ გოგოლაძის ინტერვიუზე დაყრდნობით მომზადდა კიდევ ერთი სიუჟეტი [„კომპრომატების ძებნა“](#) ბიძინა ივანიშვილის მიერ პატრიარქის წინააღმდეგ კომპრომატების ძიების შესახებ. სიუჟეტში ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იყო უტყუარ ჭეშმარიტებად, თუმცა სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი რამე სახის მტკიცებულება ან სანდო წყარო, რომელიც ამ ბრალდებებს დაადასტურებდა. „ოლიგარქი ივანიშვილის ფარული განზრახვა კამერების წინ ყოველთვის საპირისპიროდ ჩანს, „ოცნების“ ლიდერი

პატრიარქთან შეხვედრის დროს კეკელუცოვს, მხოლოდ შურისძიება ამოძრავებს მასზე მაღალი რეიტინგის გამო.“ - ასეთი დასკვნა გამოიტანა ჟურნალისტმა იმავე ელდარ გოგოლაძის ნაამბობიდან.

„მთავარი არხის“ ჟურნალისტები მმართველი ძალის მიმართ ცინიკურ, დამცინავ, ხშირად შეურაცხმყოფელ ლექსიკას იყენებენ. არჩევნების მოახლოებასთან ერთად „მთავარ არხზე“ გახშირდა ჟურნალისტების მხრიდან არანარომატიული ლექსიკის, უხამსი გამონათქვამების გამოყენებაც.

უხამსი იყო 25 ოქტომბერს გიორგი გაბუნიას [მონოლოგი](#), სადაც ის ბერა ივანიშვილის მიერ ამაზონის ტყეებისთვის ერთი მილიონი დოლარის გადაცემასთან დაკავშირებულ ამბავს გამოეხმაურა. „პოსტ-ფაქტუმის“ წამყვანმა გაიხსენა ქვეყანაში ბოლო წლებში მომხდარი გახმაურებული კრიმინალური შემთხვევები, აღწერა ზოგადად ქვეყანაში არსებული ვითარება და შარვალჩახდილი სათამაშო კაცუნას დემონსტრირებით უცენზურო, შეურაცხმყოფელი სიტყვებითაც მოიხსენია ბიძინა ივანიშვილი.

29 ოქტომბერს „მთავარი არხის“ ეთერში მმართველი გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, ირაკლი კობახიძეს მიუძღვნეს სიუჟეტი, სადაც სიუჟეტის ავტორი სარკასტულ, ირონიულ სტილში ლაპარაკობს მასზე და ამბობს, რომ გუნდში არავის იმდენი ამაგი არა აქვს ბიძინა ივანიშვილზე რამდენიც ირაკლი კობახიძეს. „ყველაზე დიდი პარტიული იდიოტობების გაჟღერებას ამ ბიჭს ავალევენ, რაც, ჩემი აზრით, უსამართლობაა“, ამბობს სიუჟეტის ავტორი. გზადაგზა მოყვანილია ამონარიდები ირაკლი კობახიძის კომენტარებიდან და, ასევე, მასთან დაკავშირებული არცთუ ისე სასიამოვნო შეფასებები პოლიტიკოსებისა თუ ტელეწამყვანების მხრიდან, მაგალითად, „გოგლიმოგლა ბავშვი“ და სხვ. ამ შეფასებების ფონზე კი თავად ამბის მთხრობელი ამბობს: „მე მაინც მგონია, რომ კობახიძე არც იაპონური რობოტია, არც ურჩხული და არც გოგლიმოგლა ბავშვი. ირაკლი კობახიძეს არავინ ჰგავს თვინიერ ირაკლი კობახიძისა. დიახ, ამ პოლიტიკური სიბეცისა და მავნებლობის საკუთარი, ინდივიდუალური და სრულიად უნიკალური სტილი დაამკვიდრა“.

საინფორმაციო გამოშვებებში ზოგჯერ ისმის ამ სახის რეპლიკები: „პუტინის დადანაშაულებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საამისოდ ჩვენს ხელისუფლებას არც საკმარისი ზომის და სიმყარის კვერცხები აქვს და არც უკანალი“. - განაცხადა გიორგი გაბუნია 6 სექტემბრის „პოსტ-ფაქტუმში“. „ჩემი კიწი, მოი რობიკ, ჩვენი თემურიკო, აი, ჩემი კვერცხებით რომ აჩიროვანა, აკალდოვანა...“. ჟურნალისტის ეს ტექსტი უკვე 27 სექტემბრის „პოსტ-ფაქტუმში“ გავიდა. სიუჟეტი „ბიძინას ღიმილი“ ფაქტობრივად იყო ავტორის ცინიკური მონოლოგი, თითქოსდა ბიძინა ივანიშვილის პირით მეტყველი, გადაფარული შესაბამისი კადრებითა და მისი სამიზნე რესპონდენტების სხვადასხვა რეპლიკებით. მთელი სიუჟეტი უადრესად დისკრედიტაციულად წარმოაჩენდა ბიძინა ივანიშვილს. დამცინავი და ირონიული იყო, როგორც წამყვანის ტექსტი, ისე ავტორის მონოლოგი.

„მთავარი არხის“ საინფორმაციო გამოშვებაში შეიმჩნეოდა, რომ ჟურნალისტები ფაქტების სახით იმეორებენ ე. წ. „მესიჯბოქსებს“, რომლებიც თავდაპირველად ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა გააჟღერეს, -- რომ „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წელს კრიმინალურ სამყაროსთან გააფორმა კონტრაქტი“, რის გამოც, ხელისუფლება კრიმინალს მფარველობს და მათთან თანამშრომლობს.

„კრიმინალების დახმარებით მოპარული არჩევნები“ - ასე წარადგინა 20 ნოემბერს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი [ანმა მორიგი](#) სიუჟეტი „კრიმინალები ოცნების მხარდამჭერებად“. სიუჟეტში ჟურნალისტი მხოლოდ ერთ წყაროს დაეყრდნო და ამბავი „ქართული ოცნებისა“ და კრიმინალების წინასაარჩევნო კავშირი“, როგორც უტყუარი ფაქტი, ისე მიაწოდა მაყურებელს.

გადაცემის წამყვანების ტექსტი ხშირად მიკერძოებულია კონკრეტული მოვლენისადმი, ზოგჯერ შეურაცხმყოფელიც ხელისუფლების კონკრეტული წარმომადგენლების მიმართ. 14 ნოემბერს, გადაცემის „მთავარი შაბათს“ წამყვანის სიუჟეტის წარდგენის ტექსტი არაეთიკური იყო.

„დედაქალაქის მერმა დღეს ოპოზიციას, ვისაც სხვა დროს მთაწმინდიდან გამოქანებას ურჩევს ხოლმე, ჯიგრულ პონტში მოუყომარა და უთხრა, რომ ოცნება ოპონენტებთან არანაირ დათმობაზე არ წავა. დიდი ხანია, უსამართლობა სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოსული ხელისუფლების მთავარი მამოძრავებელი მოტივატორია, იქნება ეს ბიუჯეტის ფულის განაწილება, ასევე, ჯიგრულ პონტში ძმკაცებზე, თუ იქნება საქართველოს ნაკრების გადამწყვეტი თამაშიდან გულშემატკივრების გაყრა და ვიპ ლოჯაში მშვიდად ტკბობა. არ ვიცი, სადან გამოექანა კახა კალაძე პირადად, ასეთი მძლავრი ინერცია რომ აკრიფა. ცხადია და ფაქტია, რომ სტადიონის ვიპ ლოჯაში მთელი მისი სამკაცო და მასთან დაახლოებული ბიზნესელიტა აღმოჩნდა - ისინი, ვისთვისაც სტადიონის კარიც ხსნილია და სარფიანი სამთავრობო კონტრაქტებიც“.

არჩევნების მეორე ტურის წინ „მთავარი არხის“ წამყვანები და ჟურნალისტები მტკიცებით ფორმაში საუბრობდნენ „ტოტალურ გაყალბებაზე“ და წარმოადგენდნენ ასევე ოპოზიციის მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ მმართველმა გუნდმა ცესკოს მეშვეობით გააყალბა საბოლოო შედეგები.

2 ნოემბრის საინფორმაციო გამოშვებაც არ ყოფილა ამ მხრივ გამონაკლისი. ერთ-ერთი სიუჟეტის წარდგენისას წამყვანი [ამბობს](#): „ოპოზიციის რადიკალური პასუხი ხელისუფლების სიყალბეზე - „ქართული ოცნების“ მიერ ხალხის არჩევანის თავზედური ქურდობა პოლიტიკურ ველზე ვითარებას დრამატულად ცვლის. ოპოზიცია ერთსულოვანია. პარლამენტი აღარ არის პოლიტიკის ადგილი და ხელისუფლების ოპონენტები ქუჩაში გადიან“. მისი თქმით, „31 ოქტომბრის არჩევნები სრულიად დელეგიტიმირებულია და ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას აქვს მხოლოდ ერთი გზა, დანიშნოს ხელახალი არჩევნები. გარდა ამისა, „ქართულმა ოცნებამ“ იმდენად

გააყალბა არჩევნები, რომ მისი სტრატეგიული პარტნიორი, „პატრიოტთა ალიანსიც“ კი, საპროტესტო გამოსვლებს იწყებს”

„მთავარი არხი“ შეურთდა ოპოზიციის მიერ დაგეგმილ პროტესტს და არ გააშუქა არჩევნების მეორე ტური 21 ნოემბერს. ამ გადაწყვეტილების შესახებ არჩევნების წინა სადამოს საინფორმაციო გამოშვების დასრულებისას [განაცხადეს](#): „მთავარი არხი“ სრულად უერთდება ქართველი ხალხისა და ოპოზიციის პროტესტს და, ჩვენი სარედაქციო გადაწყვეტილებით, ხვალ, არხის საინფორმაციო სამსახური არ გააშუქებს „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილ სპექტაკლს, სახელწოდებით „მეორე ტური“, - განაცხადა საინფორმაციო გამოშვების წამყვანმა დიკო ჯოჯუამ. მისმა თანაწამყვანმა პაატა იაკობაშვილმა კი დაშვიდობებამდე მაყურებელს მიმართა, რომ შეუერთდნენ პროტესტს და არ წავიდნენ ხვალ არჩევნებზე“.

ამ გადაწყვეტილებით ტელეკომპანიამ საკუთარი აუდიტორია მეორე ტურის შესახებ ინფორმაციის გარეშე დატოვა, რაც პოლიტიკური შესტი უფროა, ვიდრე პასუხისმგებლობით აღვსილი მედიის ქმედება.


გენდერული სტერეოტიპები მთავარ არხზე

1-ელი ივლისის „მთავარის“ სიუჟეტში „მეტი ქალი პოლიტიკაში“, რომლის მთავარი თემაც ქალთა კვოტირების საკითხია, ჟურნალისტი ამბობს, რომ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი, შალვა ნათელაშვილი მმართველი პარტიის ინიციატივას დისკრიმინაციად აფასებს: „მოგვადგებიან სხვა წარმომადგენლებიც - საშუალო სქესი, ლგბტ, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი და გვეტყვიან, რომ დისკრიმინაციას ეწევით თქვენ, იქ მიეცით კვოტა და ჩვენ რა დავაშავეთო. ეს იქნება სრული საგიჟეთი. ეხლა ხომ წარმოგიდგენიათ, ამერიკის კონგრესში ვიღაცამ შეიტანოს კონგრესის და სენატის კვოტირების სქესობრივი ვარიანტი. კანცელარიამდეც კი არ მიუშვებენ ასეთ დოკუმენტს, მაგრამ ქვეყანაში, სადაც დეპუტატებად არიან კილაძეები, გუგული მადრამეები, ენძელები თუ ყოჩივარდები, რა თქმა უნდა, ყველაფერი მოსალოდნელია“. -- აცხადებს ნათელაშვილი მთავარი არხის ეთერში. მედია ვალდებულია, ასეთი განცხადებების ტირაჟირება არ მოახდინოს. თუ განცხადებას საჯარო პირი აკეთებს, შესაძლოა, განცხადება ეთერში გაუშვან, თუმცა რედაქცია მას უნდა გაემიჯნოს, უნდა უთხრას მაყურებელს, რომ ეს ჰომოფობიური და სექსისტური განცხადებაა და ის მიუღებელია. „მთავარი არხი“ ასე არ მოიქცა, რაც ეთიკური პრინციპების დარღვევაა.

რუსთავი 2

რაოდენობრივი შედეგები

„რუსთავი 2“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ 9-საათიან „კურიერს“. „რუსთავი 2“-ის ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო და „ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად გამოუქდა (დროის - 16 %). ყველაზე უარყოფითად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოჩნდა (დათმობილი დროის 17 %).



შინაარსობრივი შედეგები

„რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვება ძირითადად ნეიტრალურად, ეთიკური ნორმების დაცვით აშუქებდა მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს. ჟურნალისტები არ იყენებდნენ შეურაცხმყოფელ, დამცინავ ლექსიკას პოლიტიკოსების მიმართ. ამ არხზე დაფიქსირებული უარყოფითი ან დადებითი ტონი ძირითადად რესპონდენტებისგან მომდინარეობს, კერძოდ, როცა ერთი პოლიტიკოსი ლაპარაკობს მეორეზე.

„რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკა წინა წლებთან შედარებით განსხვავებული იყო. როგორც ცნობილია, 2019 წელს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მფლობელი შეიცვალა და, შესაბამისად, შეცვლილია სარედაქციო გუნდი, რაც აისახა მონიტორინგის შედეგებზე. სამონიტორნგო პერიოდში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენცია: თუ

წინა მონიტორინგის დროს ხელისუფლების მამხილებელი ნიუსები იყო საინფორმაციო გამოშვების გამხსნელი, ამჟამად საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის აღარ გვხვდება ექსკლუზიური, სიღრმისეული რეპორტაჟები. ძირითადად შუქდება მოვლენები, მათ შორის ხელისუფლების მიმართ კრიტიკული შინაარსისა, თუმცა მაყურებელს პრაქტიკულად არ სთავაზობს თავის მოძიებულ მასალებს კორუფციის, ნეპოტიზმის, თანამდებობის პირთა არაჯანსაღი ბიზნესინტერესების შესახებ და მიჰყვება პოლიტიკოსების მიერ შექმნილ დღის წესრიგს.

მრავალთვიანი დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკა ხელისუფლების მიმართ უფრო ლოიალურია, ვიდრე კრიტიკული. რიგ შემთხვევებში შეიმჩნეოდა ხელისუფლებისა და მმართველი გუნდის პოზიტიურად წარმოჩენის მცდელობა.

საინფორმაციო გამოშვებებში ორჯერ მეტი მეტი დრო დაეთმო მმართველ პარტიას, მის წინასაარჩევნო აქტივობებს, ვიდრე „ნაციონალურ მოძრაობას“. 30 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ შემაჯამებელ [ღონისძიებას](#) „რუსთავი 2-მა“ 9 წუთზე მეტი დაუთმო. აქცენტი მხოლოდ „ქართული ოცნების“ დაპირებებზე იყო და არაფერი თქმულა ამ პარტიის მიერ 8 წლის განმავლობაში შეუსრულებელ დაპირებებზე.

ვრცელი [სიუჟეტი](#) მიემდვნა 16 სექტემბერს „კურიერში“ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ოცეულის წარდგენის ცერემონიალს.

20 ოქტომბერს „რუსთავი 2-ის“ ეთერში გავიდა სიუჟეტი, რომელიც მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამას შეეხებოდა. წამყვანმა ნათია ლაზაშვილმა სიუჟეტი ასე წარადგინა:

„არჩევნები 20/20, დღეს ამომრჩეველთან კომუნიკაცია განსხვავებული ჰქონდა „ქართულ ოცნებას“, რომელმაც რეგიონებში საარჩევნო პროგრამის თემატური პრეზენტაციები დაიწყო. პირველი, მდგრადი განვითარების პროგრამის პრეზენტაცია რუსთავში გაიმართა. საქართველო მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრობისთვის ღირსეული განაცხადის გაკეთებისთვის მოემზადება. სწორედ ასეა დაგეგმილი მმართველი პარტიის ყველა რეფორმა მომავალი ვადისთვის“.

ხელისუფლების დადებითი ტონით წარმოჩენა სიუჟეტში გაგრძელდა, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს ევროკავშირის წევრობისათვის. მაყურებელს შეახსენეს ბოლო პერიოდის დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები, აქცენტი გაკეთდა მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურაზე და გამართულ ჯანდაცვის სერვისებზე.

20 ოქტომბრის მსგავსად, 23 ოქტომბრის სიუჟეტის პათოსის მსგავსი იყო „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის წარდგენა, წყალტუბოს რეაბილიტაციაზე საუბრის ფონზე. სიუჟეტში მოვისმინეთ მაია ცქიტიშვილის განცხადება, რომელმაც თქვა, რომ

წყალტუბოს განვითარება არის მათი პრიორიტეტი, იმერეთის რწმუნებულის სინქრონი, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ „მთელი ამ თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა წყალტუბოს გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით“ და ახლა ვიხილეთ კონცეფცია და, ასევე, კომპანია „გეოგრაფიკის“ ხელმძღვანელის განცხადება, როგორი განვითარებული იქნება წყალტუბო და როგორ გახდება „ახალი სარეკრეაციო გამაჯანსაღებელი კლასტერი, სპა ქალაქი“.

„რუსთავი 2“ პოზიტიურად წარმოაჩინდა ხელისუფლებას კოვიდ 19-ით გამოწვეულ კრიზისთან ბრძოლაში. დადებითი ტონი შეიმჩნეოდა მთავრობის სხვა ღონისძიებების გაშუქების დროსაც. მაგალითად, 9 სექტემბერს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა გახსნა ნოტარიუსთა პალატის ახალი, თანამედროვე ოფისი, რომელსაც მთავრობის სხვა წევრები და პრემიერიც დაესწრნენ. „რუსთავი 2“-ის ეთერში [გაშუქდა](#), ასევე, ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობის დასრულება ახალქალაქში, რომელიც თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა.

საანგარიშო პერიოდში „რუსთავი 2“-ზე სახელისუფლებო გზავნილების გავრცელების ტენდენციაც გამოიკვეთა. კერძოდ, რამდენიმე სიუჟეტი მიემდგნა მმართველი პარტიის წარმომადგენლების განცხადებებს ოპოზიციური პარტიების მხრიდან დაგეგმილი დესტაბილიზაციის შესახებ. თუმცა ტრადიციულად საზოგადოებისთვის, ისევე როგორც წინა წლებში, არც ამჯერად წარუდგენიათ მოსალოდნელი არეულობის დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული მტკიცებულება. ასეთი იყო „კურიერის“ 26 ოქტომბერს გასული სიუჟეტიც, რომელიც ირაკლი კობახიძის განცხადებაზე იყო აგებული, ოპოზიციის დისკრედიტაციას ახდენდა და არჩევნების წინ კომპიუტერული პროგრამა DeepFake-ით ოპოზიციის მიერ მმართველი პარტიის წარმომადგენლების შესაძლო დისკრედიტაციას აანონსებდა. მასალაში არაფერი თქმულა „ქართული ოცნების“ მიერ ყოველი არჩევნების წინა პერიოდში საზოგადოებისთვის მიწოდებულ მსგავს ინფორმაციაზე, მათ შორის ცნობილ „საბურავების საქმეზე“.

ოპოზიციურ პარტიებთან აფილირებული სადამკვირვებლო ორგანიზაციების გამოვლენილ სქემას ეხებოდა 27 ოქტომბრის სიუჟეტი, რომელიც სრულად ემყარებოდა „ქართული ოცნების“ გავრცელებულ ინფორმაციას. [სიუჟეტში](#) მაყურებელმა ვერ იხილა ინფორმაცია იმის შესახებ, აქვთ თუ არა მსგავსი ორგანიზაციები დაფუძნებული მმართველ პარტიასთან დაახლოებულ პირებს და არც ის გაუხსენებიათ, როგორ იყო რეგისტრირებული არჩევნებზე „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირებული ორგანიზაცია წლების წინ, როცა ის ოპოზიციაში იყო.

სახელისუფლებო მესიჯის გავრცელების ტენდენცია შეინიშნებოდა „რუსთავი 2“-ზე კარტოგრაფების საქმის გაშუქებისას. ნაკლებად იყო წარმოჩენილი ის კითხვები, რომლებიც ამ საქმის მიმართ აქვს სამოქალაქო საზოგადოებას. წარმოჩენილი

იყო უმეტესად ისეთი პოზიციები, რომლებიც პროკურატურის ვერსიას დამაჯერებლობას სძენდა. ასეთი იყო 5 ოქტომბერს „კურიერში“ გასული [სიუჟეტი](#).

„რატომ არ იხელმძღვანელა დემარკაციის კომისიამ 1938 წლის რუკით? კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომლის ბინაშიც და სამუშაო კაბინეტში რამდენიმე დღინ წინ ჩხრეკა ჩატარდა, დღეს განმარტებებს აკეთებს. რატომ მოხდა ძველი, 82 წლის წინანდელი კარტოგრაფიული მასალის ჩანაცვლება სხვა რუკით? ივერი მელაშვილის არგუმენტები რუკის მასშტაბებს უკავშირდება. საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის სხვა რუკით ჩანაცვლებას კომისიის წევრი რუკის მასშტაბის სიმცირით - ეს არის წამყვანის შესავალი, სადაც თითქმის მტკიცებით ფორმაში გვეუბნება, რომ რუკა, რომლის არგამოყენებასაც ედავებიან, სწორედ ის რუკაა, სადაც დავითგარეჯა საქართველოს ტერიტორიაზეა მოქცეული. რუკის სამართლებრივი და კარტოგრაფიული ღირებულება დღემდე დაუდგენელია და სწორედ ეს არის დავის მთავარი საგანი. ის არ არის ხელმოწერილი ოფიციალურად სახელმწიფოების მიერ და სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ეს რუკა „უმნიშვნელოვანესი“ საქართველოსთვის.

დავითგარეჯის საქმე 9 ოქტომბერსაც გაშუქდა. [სიუჟეტი](#) იყო საკმაოდ ვრცელი და მისი პირველ ნახევარზე მეტი აწყობილი იყო იმგვარად, რომ არსად უხსენებიათ ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის ექვები. ასევე, არ უხსენებიათ, რომ უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტების აზრით, ამ თემის ახლა წამოწევა აზერბაიჯანთან ურთიერთობის გაფუჭების ნიშნებს ატარებს.

მონიტორინგის პერიოდში „რუსთავი 2“ უარყოფითი ტონით აშუქებდა ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის აქტივობებს. მის მიმართ ჟურნალისტების ირონიული, ოდნავ ცინიკური ტექსტები არჩევნების დღის მოახლოებისას უფრო გახშირდა. მას მოიხსენიებენ მსჯავრდებულ ან ძებნილ პრეზიდენტად. „ამასობაში სააკაშვილი ისევ ბრუნდება და ისევ იმუქრება. მსჯავრდებული ექსპრეზიდენტი კვლავ აანონსებს საქართველოში ჩამოსვლას და პარალელურად კვლავ შურისძიებით იმუქრება. ამჯერად მისი სამიზნე პოლიციელები და მათი ოჯახის წევრები არიან. საქართველოში ჩამოსვლისთვის კი მას დანარჩენი ოპოზიციის დახმარება სჭირდება“. - ამ ტექსტით დაიწყო სიუჟეტი [„საკაშვილის მიმართვა ოპოზიციას“](#). კრიტიკული სიუჟეტები სააკაშვილის სამომავლო გეგმებზე „რუსთავი 2“-ზე შემდგომაც გაგრძელდა, [„საკაშვილის მორიგი მიმართვა“](#), [„საკაშვილის ფაქტორი“](#).

„რუსთავი 2“-ზე შეინიშნებოდა განსაკუთრებული ხაზგასმა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ბიძინა ივნიშვილის ფონდი „ქართუს“ მიერ დაფინანსებულ პროექტებზეც, რაც „ქართული ოცნების“ დადებითად წარმოჩენას ემსახურებოდა. მათ შორის იყო სიუჟეტები თბილისის ბოტანიკური ბაღის განახლებაზე, მთაწმინდის პარკში ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით ურბანული ტყის ლანდშაფტის აღდგენასა და „თბილისი ცენტრალ პარკის“ მშენებლობაზე.

გენდერული სტერეოტიპები რუსთავი 2 ზე


მონიტორინგის პერიოდში „რუსთავი 2“-ზე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაკეთებულა.

კავკასია

რაოდენობრივი შედეგები

„კავკასიის“ ეთერში მონიტორები ყოველდღიურად აკვირდებოდნენ 20:30-საათიან საინფორმაციო გამოშვებას „დღეს“.

სამონიტორინგო პერიოდში ყველაზე ხშირად „ქართული ოცნება“ შუქდებოდა, (დროის 36% ნეგატიური ტონით). ასევე უარყოფითად გამოუქდა მთავრობა, (დროის 15% უარყოფითი ტონით).



შინაარსობრივი შედეგები

„კავკასია“ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამბებს ძირითადად ეთიკურად აშუქებდა. მის მთავარ პრობლემად კვლავ რჩება ამბების გაშუქების ზედაპირულობა. „კავკასიას“ არა აქვს საკუთარი, ექსკლუზიური თემები, სიღრმისეული რეპორტაჟები. მისი საინფორმაციო გამოშვება მიმდინარე პოლიტიკური ამბების მშრალად, უმეტესად, ე.წ. „კადრსინქრონის“ ფორმატით გაშუქებით შემოიფარგლება

სამონიტორინგო პერიოდის საინფორმაციო გადაცემაში „დღეს“ დროის უდიდესი ნაწილი პოლიტიკურ თემებს ეთმობოდა; თითქმის არ გვხვდება სიუჟეტები სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა მნიშვნელოვან თემებზე. „კავკასია“ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული არხია.

სამონიტორინგო პერიოდში არხი ინტენსიურად აშუქებდა არჩევნების შესაძლო გაყალბების საკითხს, არაერთი მასალა მიემდვნა საარჩევნო ადმინისტრაციის კრიტიკას, არჩევნების შემაჯამებელი საუბნო ოქმების შესაძლო გაყალბებას, თუმცა „კავკასია“ ამ თემებს ძირითადად მხოლოდ პოლიტიკოსების მიერ გამოთქმულ ბრალდებებზე დაყრდნობით აშუქებდა და არხის ჟურნალისტები არ მიმართავდნენ დამატებით ძალისხმევას, რომ აუდიტორიისთვის მრავალ წყაროზე დაფუძნებული, გადამოწმებული ფაქტები შეეთავაზებინათ.

ბალანსის დარღვევის ფაქტები შეგვხვდა საარჩევნო ადმინისტრაციის ცესკოს მიმართ, მაგალითად 4 ნოემბერს, „კავკასიის“ ეთერში გავიდა საარჩევნო ბლოკის „ძალა ერთობაშიას“ წარმომადგენლის, თამარ კორძაიას ბრიფინგის ვრცელი [ფრაგმენტი](#), სადაც კორძაია ცესკოს ოპოზიციის საჩივრების ხელოვნურად დაბლოკვაში, არ განხილვაში ადანაშაულებდა. კორძაიას თქმით, მათ წარმომადგენლებს საარჩევნო ადმინისტრაცია დამატებით რწმუნებულებების არქონის გამო საჩივრების განხილვაზე უკანონოდ ეუბნებოდნენ უარს. ეს ინფორმაცია მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენელზე დაყრდნობით გაშუქდა. „კავკასიის“ ჟურნალისტებს არანაირი დამატებითი მოქმედებები არ განუხორციელებიათ ინფორმაციის დასაზუსტებლად. არ მიუმართავთ განმარტებისთვის ცესკოსთვის, არ მოუძიებიათ დამატებითი წყაროებით ინფორმაცია, რაც გაამყარებდა ანდა გააბათილებდა ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ბრალდებებს. ინფორმაცია მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით მიეწოდა აუდიტორიას.

ანალოგიურად, ცალმხრივად, მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით [გამუქდა](#) იმავე დღეს „ევროპული საქართველოს“ ბრალდებები საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს მიმართ.

თუმცა ბალანსის დარღვევა ხელისუფლების სასარგებლოდ, ოპოზიციის საზიანოდაც მოხდა. 30 ოქტომბერს ირაკლი კობახიძემ ოპოზიცია პროვოკაციების და უკანონო ქმედებების დაგეგმვაში [დაადანაშაულა](#), ანალოგიური შემთხვევა იყო, როდესაც კახა

კალაძემ არჩევნების დღეს, 31 ოქტომბერს კონკრეტულ პირს კრიმინალურ ქმედებებში [დასდო ბრალი](#). ეს ორივე შემთხვევა „კავკასიამ“ საპასუხო პოზიციების გარეშე გააშუქა, არადა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პასუხის უფლება მაშინ, როცა კონკრეტულ პირს კონკრეტულ დანაშაულს აბრალებენ.

მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ „კავკასიის“ ეთერში სამთავრობო უწყებების პრესსამსახურების მომზადებულ მასალები მათ წარმომავლობაზე ნათლად მითითების გარეშე გადიოდა.

ქსენოფობიური განცხადების ტირაჟირება დაფიქსირდა „კავკასიაზე“ 15 სექტემბერს - [სიუჟეტი](#) ზღვის უბანში თბილისის მერიამ 7 ოჯახის უკანონოდ აშენებული სახლები დაანგრია. სიუჟეტში უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეებისგან ისმის ბრალდებები მერიის და კახი კალაძის მიმართ. მათი მხრიდან ისმის ქსენოფობიური განცხადებები სხვა ეროვნების ადამიანების მიმართაც, რაც ეთერში გავიდა და, ასევე, ეთერში გადაიცა „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის, შალვა ნათელაშვილის ქსენოფობიური განცხადება: „მთელი ირანი და არაბეთი აქ ჩამოსახლა კახი კალაძემ და ოდიშარიამ. მთელი სამშენებლო ბიზნესი არის მაგათი. ირანს დაუწესეს უვიზო რეჟიმი. ყველა ირანელი, ვინც შეაგროვებს 35 ათას დოლარს, ჩამოდის, აქ ყიდულობს ბინას. თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე აქ ქართული სიტყვის გაგონება მოგვენატრება“. მედია ვალდებულია, ასეთი განცხადებების ტირაჟირება არ მოახდინოს. თუ განცხადებას საჯარო პირი აკეთებს, განცხადების ეთერში გაშვება შეიძლება, მაგრამ რედაქცია მას უნდა გაემიჯნოს, უნდა უთხრას მაყურებელს, რომ ეს ქსენოფობიაა და მიუღებელია. „კავკასია“ ასე არ მოიქცა, რაც ეთიკური პრინციპების დარღვევაა.

გენდერული სტერეოტიპები „კავკასიაზე“

მონიტორინგის პერიოდში „კავკასიაზე“ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაკეთებულა.

იმედი

რაოდენობრივი შედეგები


„იმედის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკას“ 8 საათზე და „იმედის კვირას“.

„იმედზე“ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო და ყველაზე დადებითადაც მთავრობა გაშუქდა (დათმობილი დროის 33 %-ით), ყველაზე უარყოფითად კი მიხილ სააკაშვილი (დროის 75% დაეთმო ნეგატიურ შეფასებას) და პარტიებიდან „ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა (დროის 59 % დაეთმო ნეგატიურ შეფასებას).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

იმედი

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



შინაარსობრივი შედეგები

„იმედი“ ხელისუფლებისადმი მიკერძოებულ სარედაქციო პოლიტიკას ატარებდა. საინფორმაციო გადაცემებში გარდა იმისა, რომ მმართველ გუნდს წარმოაჩენდა აბსოლუტურად დადებითად, „იმედის“ ერთ-ერთი მიზანი ოპოზიციის მაქსიმალური დისკრედიტაცია იყო.

ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემის პათოსი თითქმის სრულად ემთხვევა „ქართული ოცნების“ და ხელისუფლების რიტორიკას. „ეს არის, მთავარი არის ბრძოლა ნაციონალური მოძრაობის უკან მობრუნებაზე, ეს არის არხის მისია“. -- ასე ხედავს ტელეკომპანიის დირექტორი, ნიკოლოზ ლალიაშვილი „იმედის“ მისიას. ამასთან, როგორც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს მიერ გამოქვეყნებული [აუდიოჩანაწერებით](#) ირკვევა, დირექტორი არა მხოლოდ ხელმძღვანელობდა კომპანიის ადმინისტრაციულ მენეჯმენტს, არამედ პირდაპირ იყო ჩართული სარედაქციო პოლიტიკის განსაზღვრაში და, ამავე დროს, ამ ჩართულობის წინაპირობა იყო მისი მოსაზრებები, რომ ბალანსი ცუდია, სარედაქციო დამოუკიდებლობა არ არსებობს, ჟურნალისტური საქმიანობა

ომია კონკრეტული პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ და მეორე ძალის სასარგებლოდ. საყურადღებოა არხის დამოკიდებულება საკუთარი მაყურებლების მიმართ, რომ მაყურებელი უნდა „დაკრისტალდეს“ და მათ უნდა მიეწოდოს მხოლოდ მიკერძოებული ინფორმაცია.

მრავალთვიანი დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ არხის მთავარი პრიორიტეტი მმართველი პარტიის და ხელისუფლების დადებითი წარმოჩენაა. იმედი დეტალურად აშუქებდა მმართველი პარტიის წინასაარჩევნო აქტივობებს. მონიტორინგის რაოდენობრივი მონაცემებით, ქართულ ოცნებას სამჯერ მეტი დრო დაეთმო ვიდრე ნაციონალურ მოძრაობას. საინფორმაციო გამოშვებაში ხშირად 20 წუთამდე პირდაპირ ეთერიც კი ეთმობოდა „ქართული ოცნების“ პროგრამის პრეზენტაციას, ან მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენას. „მრავალფეროვანი და შენებაზე ორიენტირებული საარჩევნო პროგრამა“ ასე დადებითად წარმოაჩენდნენ წამყვანები და ჟურნალისტები მმართველი პარტიის საარჩევნო პროგრამას, იქვე ხაზს უსვამდნენ, რომ ახალი სახეებიც წარუდგინეს ამომრჩეველს. გარდა ამისა, ოცნების პოზიტიურად წარმოჩენისთვის მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში ეთერში გადიოდა სიუჟეტები დასრულებულ ინფრასტრუქტურულ [პროექტებზე](#), ხელისუფლების მიღწევებზე, მომავალში დაგეგმილ აღმშენებლობით პროგრამებზე, როგორ იგეგმება აბასთუმნის, წყალტუბოს და მთაწმინდის ფერდობის რეაბილიტაცია. ამასთან, საინფორმაციო გამოშვებაში მუდმივად ხდება ბიძინა ივანიშვილის და მის მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდ ქართუს ღვაწლის ხსენება და მაყურებლისთვის დადებითად წარმოჩენა.

იმედი თითქმის ყველა პოლიტიკურ სუბიექტს, გარდა “ქართული ოცნებისა”, მკვეთრად უარყოფით კონტექსტში კონტესტში აშუქებდა. ოპოზიციური პარტიები, განსაკუთრებით ენმ-ძალა ერთობაშია და ევროპული საქართველო ძირითადად უარყოფით კონტექსტში შუქდება. ჟურნალისტები არ ერიდებიან ხშირ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი, მადისკრედიტირებელი ფრაზების გამოყენებას აღნიშნული პოლიტიკური ძალის მიმართ, აქცენტს აკეთებენ მხოლოდ მათი მმართველობის ხარვეზებზე და მაყურებელს არ აწვდიან ინფორმაციას მათ საარჩევნო პროგრამაზე, გარდა ამისა, ოპოზიციურ პარტიებს ადანაშაულებენ საარჩევნოდ ძალადობრივი ინციდენტების მოწყობაში და არ საუბრობენ ინციდენტის დროს ხელისუფლების ან სახელისუფლებო პარტიის პასუხისმგებლობაზე. იმედის სიუჟეტების მიხედვით, ყოველთვის ყველაფერში დამნაშავე და პასუხისმგებელი ოპოზიციია.

„არჩევნებამდე 13 დღე რჩება და პარტიების დიდი ნაწილი რეალური პროგრამების გარეშე ხვდება, დაპირებებს კი ხშირად გასცემენ, ხშირად უტოპიურს“ - ასე წარადგინა იმედის კვირის წამყვანმა სიუჟეტი [„რეალური და არარეალური დაპირება“](#) ოპოზიციაზე საუბრისას სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ მათ არ აქვთ კონკრეტული გეგმა და ჰყავთ ძველი სახეები. მანიპულირების მიზნით ის გადასაფარად იყენებს „ნაციონალური

მოდრაობის” მმართველობის დროს აქციების დარბევისა თუ ციხეში მომხდარი ძალადობის კადრებს. ჟურნალისტი არც სხვა პარტიების პროგრამებს აცნობს მაყურებელს და მათ მხოლოდ ფორმალურად, რამდენიმე წამს უთმობს, ზოგ მათგანზე საუბრისას კი ხაზს უსვამს, რომ ეს დაპირებები არის პოპულისტური და და «რეალისტური გათვლებისგან შორსაა»

ოპოზიციის დისკრედიტაციისთვის იმედი სიუჟეტებში მიმართავს როგორც მუსიკით, ისე კადრებით მანიპულირების ხერხებს, იყენებს სხვადასხვა სახის სპეცეფექტებს მაყურებელზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ხშირად ოპოზიციის საზიანოდ დაცული არ არის ბალანსი, სიუჟეტები ფაქტებით არ არის გამყარებული. 9 ოქტომბერს იმედის ეთერში გავიდა სიუჟეტი „[დაკარგული რუკები](#)“ სიუჟეტი ეხება ე.წ. კარტოგრაფების საქმეზე ბრალდებულებს. სიუჟეტი არის მთლიანად დაუბალანსებელი, წარმოდგენილია მხოლოდ პროკურატურის ვერსიას, რომელიც ასევე გამყარებულია ისეთი ექსპერტების მოსაარებებით, რომლებიც ეთანხმებიან პროკურატურის ვერსიას. არ ისმის ბრალდებულთა პოზიცია და საწინააღმდეგო მოსაზრებები თუ ვერსიები. 20 ოქტომბერს

გავიდა დაუბალანსებელი სიუჟეტი „[ოპოზიციის მორიგი პროვოკაცია](#)“

სიუჟეტში ჟურნალისტი მტიკიცებით „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლებმა ფსიქიკური აშლილობის მქონე კაცს „ქართული ოცნების“ მაისური მოტყუებით ჩააცვეს და შემდეგ დაახევიან, სანაცვლოდ კი ფული გადაუხადეს. სიუჟეტი არის დაუბალანსებელი, გარდა ამისა, არ ჩანს, რას ეფუძნება აღნიშნული მტიკიცება.

„იმედზე“ ცალმხრივად გაშუქებული სიუჟეტების უმეტესობა „ნაციონალური მოძრაობის“ ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენას ემსახურებოდა. ასეთი იყო 9 ოქტომბერს გასული სიუჟეტი „[ენმ-ის ძალადობრივი კამპანია](#)“ კადრებით მანიპულირება, დაუბალანსებელი, ფაქტებით გაუმყარებელი სიუჟეტი, რომელიც ეხება ოპოზიციური პარტია ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიას. სიუჟეტის მთავარი სათქმელია, რომ ენმ-ის კამპანია არის ძალადობრივი და ის ასეთი იყო ჯერ კიდევ 2003 წლიდან. ჟურნალისტი მიმართავს ფაქტებითა და კადრებით მანიპულირების ხერხებს, მაყურებელს არ უამბობს კონკრეტული ფაქტების გარემოებების შესახებ და ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ენმ-ის ქმედებები მუდმივად იყო ძალადობრივი. გარდა ამისა, სიუჟეტში კვლავ ახსენებენ ბიძინა ივანიშვილის მიმართვას ძალადობის დაგმობის შესახებ. აღნიშნული მიმართვას იმედის ჟურნალისტებმა 9 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებაში კიდევ 2 სიუჟეტი მიუძღვნეს.

“და ისევ ძალადობრივი კამპანია სააკაშვილის გუნდისაგან, რომელიც უკვე წლებია ხელწერას არ ცვლის. სწორედ ამის შესახებ საუბრობს პარტია ქართული ოცნების დამფუძნებელი და თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი წინასაარჩევნოდ გავრცელებულ განცხადებაში და მოუწოდებს მხარდამჭერებს, კიდევ ერთხელ არ აყვანენ პროვოკაციებს” - ამ ტექსტით წარადგინა სიუჟეტი წამყვანმა „ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანია პროგრესს ვერ განიცდის. მოძველებული ხერხებით პროვოკაციებსა და

ძალადობაზე აგებულ საარჩევნო კამპანიას ნაციონალური მოძრაობა წელსაც განაგრძობს. ახლა მათ ძალადობრივი კამპანია ქვემო ქართლიდან დაიწყო.” -- უფრო მეტიც, ჟურნალისტი 2016 წელს კორცხელში, ენმ-ის ლიდერებზე ქართული ოცნების მხარდამჭერი სპორტსმენების თავდასხმას ამგვარი ტექსტით ამართლებს:

“ნაციონალური რეჟიმის ავტორობით ერთ ერთი სამწუხარო მაგალითია კორცხელის ინციდენტი, როცა ამ პარტიის ლიდერებმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ სპორტსმენების თავმოყვარეობაზე ჩვეულ სტილში იმოქმედეს და სასურველი შედეგიც მიიღეს.” გამოყენებულია კადრები 2003, 2007 წლების აქციებიდან, ასევე 7 ნოემბრის დარბევის კადრები, 2012 წლის წინასაარჩევნო დაპირისპირების ამსახველი კადრები. არაფერს ამბობს ჟურნალისტი 2020 წელს თავად ენმ-ის აქტივისტებისა და ოპოზიციური ტელეარხის ჟურნალისტის ცემაზე, რომელშიც, ნაცემები მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარესა და ოცნების სხვა აქტივისტებს ადანაშაულებდნენ.

„იმედი“ უკიდურესად ნეგატიურად აშუქებს მიხეილ სააკაშვილს. სააკაშვილის კრიტიკა და დისკრედიტაცია განსაკუთრებითმას შემდეგ დაიწყო, რაც 1-ელ სექტემბერს ვიდეოგზავნილი „[საკაშვილის ბოდიში და აღიარება](#)“ „იმედის“ ეთერში გავიდა . მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაციისთვის „იმედის“ ჟურნალისტები ხშირად იყენებენ უკრაინელი ჟურნალისტების მიერ მომზადებულ სიუჟეტებს. 18 ოქტომბერს გასულ სიუჟეტში, რომელიც უკრაინელი ჟურნალისტების მიერ მომზადებულ გადაცემას ეხება მიხეილ სააკაშვილზე ფაქტის სახით არის გადმოცემული უკრაინელი ჟურნალისტების მონათხრობი, თითქოს მიხეილ სააკაშვილმა დაიქირავა ჩრდილოკავკასიელი კრიმინალები გიორგი გაბუნიას მოსაკლავად. ამ კავშირის გასამყარებლად მათ გამოიყენეს მალხაზ მაჩალიკაშვილის კავშირი მიხეილ სააკაშვილთან. სიუჟეტი არის დაუბალანსებელი, გაუგებარია, რა ფაქტებს ემყარება. ჟურნალისტი მიმართავს როგორც კადრებით, ისე მიუსიკით მანიპულირებას. სიუჟეტი მთავრდება უკრაინელი ჟურნალისტების ციტატით: საქართველოსა და უკრაინაში ოქტომბრის ბოლოს მომდგარი არჩევნების წინ მიწა მოგმართოთ: ფრთხილად იყავით, ვისაც თქვენ ხმას მისცემთ, შემთხვევით იმან არ მოგკლათ. [გიორგი გაბუნიას](#) მკვლელობის მომზადების საქმეს და საქართველოს ექსპრეზიდენტის დაუსაბუთებელ ბრალდებები 20 ოქტომბერსაც გაგრძელდა .

გენდერული სტერეოტიპები “იმედზე”

მონიტორინგის პერიოდში “იმედზე” გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაშუქებულა.

ობიექტივი


რაოდენობრივი შედეგები

„ობიექტივის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას, - „ნამდვილი ამბებს“. საინფორმაციო გამოშვებაში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „პატრიოტთა ალიანსს“ და ყველაზე დადებითად გაშუქდა „პატრიოტთა ალიანსი“. მისთვის დათმობილი დროის 43 % დადებითი იყო. ყველაზე უარყოფითად გაშუქდა „ნაციონალური მოძრაობა“ (91 %) და „ევროპული საქართველო“ (90%).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ობიექტივი

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



შინაარსობრივი შედეგები

„ობიექტივის“ საინფორმაციო გამოშვება ცალსახად მიკერძოებულია „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ. სამონიტორინგო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებაში არ ტოვებენ პარტიის არც ერთ აქტივობას და სიუჟეტების ნაწილიც პარტიისთვის აქტუალური თემების მიხედვითაა აგებული. „ობიექტივზე“ „პარტიოტთა ალიანსს“ უწოდებენ „ქვეყნის მთავარ ოპოზიციური ძალას“ ან „მთავარ ოპოზიციურ პარტიას“. ცნობილია, რომ „ობიექტივის“ დამფუძნებლები „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები არიან და, ალბათ, ეს განაპირობებს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ პარტიისადმი.

შეიძლება ითქვას, რომ „ობიექტივი“ პატრიოტთა ალიანსის მედია პლატფორმას წარმოადგენს საინფორმაციო გადაცემის ჟურნალისტების გამონათქვამები არაფრით

განსხვავდება „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერთა გამონათქვამებისაგან. ისინი სიუჟეტებში აცხადებენ, რომ მოსახლეობა „დადებითი განწყობებით“ ხვდება პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს და პარტიასა და კანდიდატებს დიდ ნდობას უცხადებს.

7 ოქტომბერს გასულ სიუჟეტში „ქვეყნის მთავარი ოპოზიციური ძალის მიმართ მოსახლეობა დადებით განწყობებს ღიად გამოხატავს“ ჟურნალისტი ამბობს: „ქვეყნის მთავარი ოპოზიციური ძალის მიმართ საზოგადოება დადებით განწყობებს არჩევნებამდე 25 დღით ადრე ღიად გამოხატავს. სწორედ ამიტომ „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატები დარწმუნებულები არიან, რომ 31 ოქტომბერს ამომრჩეველი არჩევანს მათ პარტიაზე შეაჩერებს და 8 ნომერს შემოხაზავს. „ჟურნალისტები სიუჟეტებში ასევე ხშირად იმეორებენ „პატრიოტთა ალიანსის“ მთავარ საარჩევნო სლოგანებს: არა - ქართულ ოცნებას! არა - ნაციონალურ მოძრაობას! არა - ევროპულ საქართველოს! არა - სააკაშვილი - ბოკერია - კობახიძის შერეულ მთავრობას! დამნაშავეები უნდა დაისაჯონ! დანაშაულზე ხელის დამფარებლები უნდა დაისაჯონ! კი - ჩატეხილი ხიდების აღდგენას სოხუმთან და ცხინვალთან!

“ობიექტივის” საინფორმაციო გამოშვებაში თითქმის არ შუქდება სხვა პოლიტიკური პარტიების აქტივობა გარდა მმართველი პარტიისა. “ნაციონალურ მოძრაობასა” და “ევროპულ საქართველოს” არხზე უმეტესად უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ, ტერმინით “საკაშვილ-ბოკერიები” ან როგორც დესტრუქციული ძალა და მათ შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში მუდმივად გვხვდება ეთიკური დარევები.

ფაქტობრივად ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც ობიექტივი მხოლოდ პოზიტიურად აშუქებს, არის „პატრიოტთა ალიანსი“. ობიექტივი ყოველდღიურ რეჟიმში აშუქებდა პატრიოტთა ალიანსის აქტივობებს, მაჟორიტარების წარდგენას, მათ დაპირებებს, ასევე კონკრეტული კანდიდატების პორტრეტებს მათი დადებითი კუთხით წარმოსაჩენად.

ამის საპირისპიროდ, ობიექტივის მაყურებელს წინასაარჩევნოდ ფაქტობრივად არ მისცემია საშუალება, მიეღო ინფორმაცია სხვა პარტიების პროგრამების ან დაპირებების შესახებ. “ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა” და “ევროპულ საქართველოს” ობიექტივი მოიხსენიებს შემდეგი ტერმინებით: «კრიმინალური დაჯგუფება», «სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლები», «საკაშვილ-ბოკერიას რეჟიმი» და ა.შ.

მწირია საინფორმაციო გადაცემის თემატიკაც. სამონიტორინგო პერიოდში „ნამდვილ ამბებში“ გასული [სიუჟეტები](#) ეხებოდა მხოლოდ ეხება „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შეხვერას მოსახლეობასთან. მხოლოდ [დადებით კონტექსტშია](#) წამოჩენილი. ყურადღებას არ [უთმობენ](#) სხვა პარტიების აქტივობებს.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად „ობიექტივის ეთერში ოპოზიციური პარტიის დისკრედიტაციის ფაქტები გახშირდა. 29 ოქტომბერს გასული სიუჟეტი მთლიანად ეხებოდა პატრიოტთა ალიანსის ლიდერის, ირმა ინაშვილის [ბრიფინგს](#), რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებს, კერძოდ მიხეილ სააკაშვილს, „ნაციონალურ მოძრაობას და „ევროპულ საქართველოს (გიგა ბოკერიას) ადანაშაულებდა რევოლუციის გეგმის მომზადებაში. დაუბალანსებელ, დაუსაბუთებელ სიუჟეტში ისმის მხოლოდ ირმა ინაშვილის განცხადებები, ბრალდებები და არ ჩანს კონკრეტული მცდელობა, რომ ჟურნალისტი შეეცადა, ამ ფაქტების გადამოწმებას ან ბრალდების ადრესატთა საპასუხო განცხადების მოპოვებას.

ოპოზიციური პარტიების დისკრედიტაციის მიზნით, არჩევნების წინ „ობიექტივი“ ციხეში პატიმართა წამების კადრებსაც იყენებდა. დაუბალანსებელი, მანიპულაციური [სიუჟეტი](#) 2012 წლამე პატიმართა ციხეებში წამებაზე 29 ოქტომბერს, არჩევნებამდე 2 დღით ადრე გავიდა. სიუჟეტის მიზანია ნაციონალური მოძრაობისა და ევროპული საქართველოს დისკრედიტაცია ისე, რომ მათ წარმომადგენლებს საშუალება არ ჰქონიათ, ეპასუხათ ამ ბრალდებებს. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტში გამოყენებულია 2012 წელს გავრცელებული ციხეში წამების ყველაზე მძიმე კადრები, მათ შორის, პატიმრისა და ცოცხის ეპიზოდი.

მანიპულაციური და დაუბალანსებელი [სიუჟეტები](#) ციხეში პატიმრების წამების კადრებით 27 - 28 [ოქტომბერსაც](#).

„ობიექტივზე“ ტრადიციულად, წინა მონიტორინგის მსგავსად, ამჯერადაც არაერთხელ დაფიქსირდა ქსენოფობიური განცხადებების ტირაჟირება. თურქოფობიური სიუჟეტები საინფორმაციო გამოშვებებში მას შემდეგ გახშირდა, რაც „პატრიოტთა ალიანსმა“, წინასაარჩევნოდ გონიოსა და სარფში საარჩევნო ბანერები გააკრა, სადაც აჭარა საქართველოს რუკაზე ოკუპირებულ ტერიტორიად იყო მონიშნული და ეწერა: „დაიცავი აჭარა“, „საზოგადოებაში უარყოფითი შეფასებების გამო ბანერი მოხსნეს.

28 ოქტომბერს „ობიექტივზე“ ვრცლად გაშუქდა აქცია ბათუმში. აქციაზე შეკრებილი მოქალაქეების მოქალაქეები მოთხოვნას, რომ უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეებს (თურქებს), ვისაც მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას სიმბოლურ ფასად გადაეცათ ქონება, ჩამოეთვათ. ქსენოფობიური მოთხოვნები ჟღერდა ასევე თურქულ სასწავლებელზე. სიუჟეტში მოყვანილი ინფორმაცია არ იყო გადამოწმებული და დაზუსტებული.

თურქოფობიური სიუჟეტები „ობიექტივის ეთერში“ მანამდეც გადიოდა ჟურნალისტები ბათუმში თურქეთის მოქალაქეების მფლობელობაში არსებულ ქონებას ეძებდნენ და თურქეთის მხრიდან აჭარის ეკონომიკურ ექსპანსიაზე მიუთითებდნენ. ისინი, ასევე, ხაზს უსვამდნენ, რომ წინა ხელისუფლების პირობებში მათ ქონება სიმბოლურ ფასად

გადაეცათ, მაშინ, როდესაც ადგილობრივებს ეს პრივილეგია არ ჰქონიათ. ასევე, ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში თურქეთის იმპერიალისტურ მიზნებზეა ლაპარაკი. ამასთან, „ობიექტივზე“ იქაურებს მოიხსენიებენ, როგორც „ეროვნებით თურქებს“ და არა „თურქეთის მოქალაქეებს“. 5 სექტემბერს გავიდა ერთ-ერთი სიუჟეტი, „თურქეთული „რბილი ძალა“, რომელშიც ლაპარაკია აჭარაში თურქი ბიზნესმენების საკუთრებაში არსებულკომერციულობიექტებზე. „აჭარის რეგიონში კვების ობიექტები, ტრანსპორტი, სასტუმროები სუპერმარკეტების ქსელი, სამშენებლო ბიზნესი და სავაჭრო ცენტრები ყველაზე კარგად გამოხატავს თურქეთის პოლიტიკას, ანუ მის ეკონომიკურ ექსპანსიას“, -- ამბობს ჟურნალისტი და გვთავაზობს კიდევ უფრო თურქოფობიურ კომენტარს ორგანიზაცია „მუსლიმი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობის დასაცავად“ დამფუძნებლისგან: „თურქები ჩვენი დაუძინებელი მტრები იყვნენ, არიან და იქნებიან. დღეს თურქები სალოცავი გაუხდენ უჩვეულო ქართველებს, მამათ გაიხადეს, მზრუნველად გაიხადეს. მაგრამ ეს დროებითია. ისინი ისევ თავიანთ გადაწყვეტილებას, რომ საქართველო თურქებისა იყოს, რომ ქართველები აღარარსებობდნენ დედამიწაზე, ამის მსურველი არიან“. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ეს სიუჟეტი „ობიექტივის“ ეთერში 19 აგვისტოსაც გავიდა, განსხვავებული სათაურით „თურქეთის ეკონომიკური ექსპანსია“. ამავე შინაარსის სიუჟეტები გავიდა ასევე 1-ელ [სექტემბერს](#) და 3 სექტემბერს. მედია ვალდებულია, არ მოახდინოს ასეთი განცხადებების ტირაჟირება. თუ განცხადებას საჯარო პირი აკეთებს, შესაძლოა, განცხადება ეთერში გაუშვან, მაგრამ რედაქცია მას უნდა გაემიჯნოს, უნდა უთხრას მაყურებელს, რომ ეს ქსენოფობიაა და მიუღებელია. „ობიექტივი“ ასე არ მოიქცა, რაც ეთიკური პრინციპების დარღვევაა.

ფორმულა

რაოდენობრივი შედეგები


სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ „ტვ ფორმულას“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას, „ფორმულა NEWS“-ს, „შაბათის ფორმულას“ და გადაცემა „დროებას“.

მთელი პერიოდის განმავლობაში „ფორმულაზე“ ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო (დროის 58 % ნეგატიური ტონით). ყველაზე უარყოფითად კი ადგილობრივი ხელისუფლება და მთავრობა გაშუქდა (დროის 62 % ნეგატიური ტონით).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ფორმულა

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



შინაარსობრივი შედეგები

ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში შუქდებოდა მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბები. მონიტორინგის პერიოდში აქტიურად შუქდებოდა წინასაარჩევნოს საკითხები და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესები. განსაკუთრებით კრიტიკულად არხი ბიძინა ივანიშვილს და მმართველი პარტიის საქმიანობას აშუქებს. თუმცა არხზე შეინიშნება სიღრმისეული, ექსკლუზიური მასალების ნაკლებობა

„ფორმულა ნიუსი“ ძირითადად იცავს ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს. რაც შეეხება „შაბათის ფორმულას“ და „დროებას“, ამ გადაცემებში ხშირად მიმართავენ ფაქტებით, კადრებითა და მუსიკით მანიპულირების ხერხებს მაყურებელზე ზეგავლენის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, ამ გადაცემაში წამყვანები და ჟურნალისტები არ ერიდებიან ხელისუფლების მიმართ ხშირად დამცინავი, არაკორექტული ლექსიკის გამოყენებას. „ბოლო წლებია, ხელისუფლებამ საკუთარი სადამსჯელო რაზმები მშვიდობიან მოქლაქეებზე გამოწრთო. როგორ ისროლონ სწორად რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი ყუმბარები, როგორ გამოყენონ წყლის ჭავლი, როგორც სადამსჯელო მათრახი. ბოლო წლებია, ხელისუფლება - ძალოვანი უწყება ცივილიზებულ სამყაროს აჩვენებს, როგორ უნდა დაშალო აქცია ყველა წესების დარღვევით. თითქოს შევეჩვიეთ, რომ ამის გამო არავინ ისჯება, - ასეთი ცინიკური და ირონიული ტექსტი მიუძღნა „შაბათის ფორმულას“ წამყვანმა ბიძინა ივანიშვილს.

„ფორმულა“ ძირითადად, კრიტიკულად აშუქებს მმართველი პარტიის მმართველ გუნდს და ბიძინა ივანიშვილს. ამასთან, ოპოზიციის მიმართ კრიტიკული მასალები არხის ეთერში პრაქტიკულად არ გვხვდება. „ფორმულაზე“ განსაკუთრებით აქტიურად შუქდება „ევროპული საქართველოს“ აქტივობები და ამ პარტიის წევრების კომენტარებსაც შედარებით ხშირად სთავაზობენ მაყურებელს, ვიდრე სხვა ოპოზიციური პარტიების წევრებისას.

„ფორმულას“ ეთერში კრიტიკის მთავარი ობიექტია ხელისუფლება. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც სიუჟეტებში ბალანსი მხოლოდ ფორმალურად არის დაცული. ზოგჯერ შეინიშნება ოპოზიციის სასიკეთოდ ბალანსის დარღვევის შემთხვევები.

დაუბალანსებელი იყო სიუჟეტი 27 ოქტომბერს ცესკოსთან გამართული აქციის შესახებ, სადაც ოპოზიციის წარმომადგენლები ცესკოს და ჯანდაცვის სამინისტროს ადანაშაულებენ კოვიდინფიცირებულთათვის არჩევნებზე ხმის მიცემისას ხელოვნურად ბარიერის შექმნაში, თუმცა ამ ბრალდებებზე მაყურებლისთვის საპასუხო კომენტარი არ შეუთავაზებიათ. იმ დღეს „ფორმულა NEWS“-ში გავიდაკიდევ ერთი დაუბალანსებელი [სიუჟეტი](#) - „ოცნების საიდუმლო შტაბი“, სადაც ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“, შესაძლოა, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია სკანდალში გახვიოს, რადგან სამტრედიის „წითელი ჯვრის“ ოფისში „ოცნებას“ გახსნილი აქვს საიდუმლო შტაბი, სადაც ამომრჩევლებს ფულს ურიგებენ. თუმცა სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი ამის მტკიცებულება და, ამასთან, არ ჩანს მმართველი პარტიის კომენტარი.

არჩევნებამდე ორი დღით ადრე, 29 ოქტომბერს, გავიდა [სიუჟეტი](#) „ფული ხმების სანაცვლოდ“. როგორც ჟურნალისტი აცხადებს, სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ ბათუმის ოფისში კოორდინატორებს ე.წ. „საქეიფო ფულს“ ურიგებენ. გარდა ამისა, ამტკიცებენ, რომ მოპირდაპირე მხარეს მოწყობილია კონსპირაციული კლუბი. კვლავ საუბარია „სავარაუდო მოსყიდვაზე“. შემდეგ სიუჟეტი გორში მომხდარი ინციდენტით გრძელდება. „ევროპული საქართველოს“ გორის ოფისის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მას თავს დაესხა ორი ადამიანი. იგი დარწმუნებულია, რომ ისინი „ქართულ ოცნებასთან“ არიან დაკავშირებული. დაზარალებული ამბობს, პოლიციას არ მივმართე, არ ვენდობიო. ფიზიკური ძალადობის კვალი არ აღენიშნება. მიუხედავად მმართველი პარტიის მიმართ გაჟღერებული მძიმე ბრალდებებისა, სიუჟეტში არ ჩანდა ამ ბრალდების შესაბამისი მტკიცებულებები და ინფორმაცია არ იყო გამყარებული ფაქტებით, რაც ეთიკური სტანდარტის დარღვევაა.

„მაბათის ფორმულაში“ ზოგჯერ დაუსაბუთებელი სიუჟეტებიც გადიოდა, მათ შორის [17 ოქტომბერს - ლავასოლლი საქართველოში.](#)

სიუჟეტის წარმდგენ ნაწილში გადაცემის წამყვანი, დავით ქაშიაშვილი ამბობს: „როგორც ჩანს, ხელისუფლება აჭა რაში არჩევნებს აგებს. ამიტომაც სიტუაციის დასალაგებლად

ბათუმში ფარულად ჩაიყვანეს წითელი ცირკულარით ძებნილი, ე. წ. „კანონიერი ქურდი“ ლავასოლი.

სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ ე.წ. „კანონიერი ქურდი“, მინდია გორაძე, იგივე ლავასოლი, საქართველოში იმყოფება და ის უკვე რამდენიმე კვირაა, ბათუმში, კონსპირაციულ ბინაში ცხოვრობს დაცვასთან ერთად. ჟურნალისტის თქმით, „ფორმულას“ წყაროს ინფორმაციით, მინდია ლავასოლი, რომელიც, ბოლო ოფიციალური ცნობით, მინსკის საექსტრადიციო პატიმრობაში იყო, საქართველოში წინასაარჩევნოდ ხელისუფლების დახმარებით ჩამოვიდა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ის ხელისუფლების მთავარი დასაყრდენია და „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ხმების მობილიზებაზე მუშაობს. ჟურნალისტის თქმით, მან საჭაერო საზღვარი სავარაუდოდ უკრაინიდან გადმოკვეთა და ამჟამად სიტუაციას აჭარიდან მართავს.

სიუჟეტში ჟურნალისტი აცხადებს, რომ მისი წყაროს ინფორმაციით, „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში დასახმარებლად თურქეთის ტერიტორიაზე, თურქეთ-საქართველოს საზღვართან ახლოს, ქემალფაშაში 20-მდე ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი ჰყავს მობილიზებული.

მიუხედავად იმისა, რომ წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, ასეთ ბრალდებას, შესაძლოა, საფუძველი ჰქონდეს (არაერთი კვლევა ამტკიცებს, რომ პენიტენციურ სისტემაში კრიმინალური ავტორიტეტების გავლენა ბოლო წლებში გაიზარდა), სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი არცერთი ფაქტი და დოკუმენტი, რომელიც ლავასოლის საქართველოში ჩამოსვლას ან ქემალფაშაში „ქართული ოცნების“ მიერ ე. წ. „კანონიერი ქურდების“ მობილიზებას დაადასტურებდა. ჟურნალისტი სიუჟეტში ოპოზიციის წარმომადგენლის, კერძოდ, „ლელო საქართველოსთვის“ წევრის, ირაკლი კუპრაძის სიტყვიერ განცხადებას ეყრდნობა.

10 ნოემბერს „ფორმულას“ ეთერში გავიდა დაუსაბუთებელი და მანიპულაციური [სიუჟეტი](#) „გაყალბებული არჩევნების გამო წახალისებული პოლიცია“ - სათაური მანიპულატორული და პროვოკაციულია, რადგან ამის ფაქტები არ არსებობს და მით უმეტეს იმის მტკიცებულება, რომ პირდაპირ აქციის დამრბევებს გადაურიცხეს ფული.

„ფულადი ჯილდოს ამბავი ამით არ სრულდება. „ფორმულასთვის“ ცნობილი გახდა, რომ ძალოვანებს აქციის დარბევა, ოპოზიციის ლიდერების დევნა და გაბრაზებული მოქალაქეების დაკავება დაავალეს. ეს 8 ნოემბრის ღამემაც დაადასტურა“. - ამბობს ჟურნალისტი. შემდეგ კი აგრძელებს: „პრემიებს მიიღებენ ის სამართალდამცველებიც, ვინც მართლწესრიგის დაცვის მოტივით, მოქალაქეებს ღამის საღამოს 22 საათიდან დილის 5 საათამდე პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის მუხლით დააჯარიმებს. ამ დავალების შემსრულებლები „ოცნებისთვის“ გმირები არიან, ოპოზიციისთვის კი ეს სახედაკარგული და ჩამომლილი ინსტიტუტია“.

ეს ტექსტი დაუსაბუთებელია და არ ემყარება დოკუმენტირებულ ფაქტებს. ინფორმაცია არ იყო გადამოწმებული და დადასტურებული, სიუჟეტში არ ჩანდა არცერთი სანდო წყარო ან მტკიცებულება, რომელიც ამბის ნამდვილობას დაამტკიცებდა.


გენდერული სტერეოტიპები ფორმულა ტვ-ზე

მონიტორინგის პერიოდში „ფორმულაზე“ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაკეთებულა.

მაესტრო

რაოდენობრივი შედეგები

„მაესტროს“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 9 საათზე. „მაესტროს“ ეთერში ყველაზე მეტი დრო „ქართული ოცნების“ გაშუქებას დაეთმო და ყველაზე დადებითადაც ეს პარტია წარმოჩნდა (დროის 19% პოზიტიური ტონით), ყველაზე უარყოფითად - მიხეილ სააკაშვილი (დროის 44 % ნეგატიური ტონით). პარტიებს შორის ყველაზე უარყოფითად „ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა (დროის 44 % უარყოფითი ტონით).



შინაარსობრივი შედეგები

„მაესტრო“ საინფორმაციო გამოშვებაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამბებს ძირითადად ნეიტრალურად აშუქებს და ბალანსიც მეტ-ნაკლებად დაცულია. საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის არ გვხვდება სიღრმისეული, ექსკლუზიური მასალები. „მაესტროზე“ შეიმჩნეოდა მმართველი პარტიისა და მთავრობის პოზიტიურად წარმოჩენის ტენდენცია. არხზე პოზიტიურად შუქდებოდა სამთავრობო გადაწყვეტილებები, ინიციატივები და სახელმწიფო პროგრამები. იგი, ასევე, ცდილობდა მთავრობის პოზიტიურად წარმოჩენას ისეთი თემებით, როგორცაა, მაგალითად, „ეკონომიკის გაჯანსაღება“, „პანდემიის წარმატებულად დამარცხება“. ზოგადად, „ქართული ოცნება“ არხისთვის აშკარად პრიორიტეტია, დანარჩენ პარტიებს აქ ნაკლებ დროს უთმობდნენ.

არჩევნების წინ „მაესტროს“ ეთერში აქტიურად შუქდებოდა „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის თემატური პრეზენტაციები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ჟურნალისტები აღმატებული ტონით, დადებითად წარმოაჩენენ „ქართული ოცნების“ დაპირებებს მომავალი ოთხი წლის განმავლობაში. თუმცა საინფორმაციო გამოშვებაში არ ახსენებენ წინა წლების შეუსრულებელ დაპირებებს და კრიტიკულ კითხვებს არ სვამენ.

მთავარი გამოწვევები უცვლელია: სიღარიბის დაძლევა და მეტი სამუშაო ადგილი; ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა და არსებული პროექტები; რეგიონების გაზიფიცირება და წყალმომარაგება; ჯანდაცვის სისტემის მზაობა და კორონავირუსთან ბრძოლის გამოცდილება - ისმის [რუსთაველი](#) მეკრებილი მმართველი გუნდის ეკონომიკური პროგრამის წარდგენის პრეზენტაციიდან. [თელავში](#) მოსახლეობამ ახალი დაპირება მიიღო - სოფლის მეურნეობის დარგში მომავალი ოთხი წლის მანძილზე მილიარდ ლარზე მეტი დაიხარჯება. ქუთაისში „ქართული ოცნება“ განათლების, კულტურისა და სპორტის აყვავებას გეგმავს. ამის ფონზე არჩევნების მოახლოებასთან ერთად მომრავლდა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების უარყოფითად გაშუქების ფაქტები, რის დროსაც ზოგჯერ ირღვეოდა ეთიკური სტანდარტები .

დაუბალანსებელი [სიუჟეტი](#) გავიდა 20 ოქტომბერს. „არჩევნებამდე 11 დღით ადრე ოპოზიცია ბრძოლის სტრატეგიას ცვლის და პოლიტიკურ ორთაბრძოლაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს რთავს ასე წარადგინა წამყვანმა სიუჟეტი, სადაც წინასაარჩევნოდ „ენმ - ძალა ერთობაშიას“ კანდიდატი, კახა ოქრიაშვილი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერს ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა. სიუჟეტში ასევე წარმოდგენილია ირაკლი კობახიძის კომენტარი: „მმართველი გუნდისთვის ეჭვგარეშეა, რომ მძიმე პოლიტიკური ვითარების შექმნა მხოლოდ ოპოზიციის გეგმებში შედის. ჟურნალისტი აცხადებს, რომ ირაკლი კობახიძე კახა ოქრიაშვილს თავის შეკავებისკენ მოუწოდებს, თუმცა კახა ოქრიაშვილის კომენტარი სიუჟეტში არ ჩანს.

20 ოქტომბერს გავიდა კიდევ ერთი დაუბალანსებელი [სიუჟეტი](#), სადაც ოპოზიციას, კერძოდ, „ევროპულ საქართველოს“ თერჯოლაში „ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის პარტიული მიზნებისთვის გამოყენებას ედავებიან. სიუჟეტში ცალმხრივი, მხოლოდ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა შეფასებებია და „ევროპული საქართველოს“ პოზიცია არ ჩანს,

ყველაზე კრიტიკულად „მაესტრო“ საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის აქტივობებს აშუქებს. ამასთან, თუკი არხის ჟურნალისტები სხვა შემთხვევებში არ გამოირჩევიან ირონიული და ცინიკური ფრაზებით, ასე არ ხდება, როცა საქმე მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ თემებს ეხება: „მიხეილ სააკაშვილი საკუთარი კარის თამაშების ყველაზე უმოწყალო პერსონაჟად იქცა“. „ლიდერი, რომელმაც ყოფილ თანაგუნდელებს ზურგში დანა ჩაარტყა“. - ასე წარადგინა წამყვანმა [სიუჟეტი](#) „საკაშვილის კარის თამაშები“ 12 ოქტომბერს. „კორონავირუსთან ერთად გააქტიურდა მიხეილ სააკაშვილი“.

„გზავნილები უკრაინიდან“ - 8 სექტემბერს „მაესტრომ“ მოამზადა სიუჟეტი მიხეილ სააკაშვილის იმ ვიდეომიმართვის შესახებ, რომელშიც ექსპრეზიდენტი დაბრუნებაზე ლაპარაკობს. სიუჟეტში ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მასალის ავტორს ამ დეტალზე აქცენტირება სურდა. „უკრაინიდან, უკრაინული ელემენტების ფონზე, უკრაინის მოქალაქემ საქართველოს მოსახლეობას მიმართა და თქვა, რომ მზად არის, პრემიერმინისტრობა ორი წლით იტვირთოს“. - ასე დაიწყო სიუჟეტის ტექსტი მისმა ავტორმა.

გენდერული სტერეოტიპები მაესტროზე

გამოიკვეთა, რომ საანგარიშო პერიოდში გასულ სიუჟეტებში, რომლებიც ეხებოდა გოგი თოფაძის შვილიშვილის დაჭრას, მომხდარი დანაშაულის ქალისთვის დაბრალებას ჰქონდა ადგილი, რაც გენდერული სტერეოტიპების გაღრმავებას და დისკრიმინაციის წახალისებას წარმოადგენს - დაპირისპირების სავარაუდო მიზეზი თოფაძეების ოჯახში სტუმრად მყოფი ქალია, რომელთანაც, როგორც ირკვევა, თოფაძე მეგობრობს, ჟვანიას კი წარსულში გარკვეული სახის ურთიერთობა ჰქონდა“, ჟურნალისტი კი სიუჟეტში აღნიშნავდა: „თოფაძეების ოჯახში სისხლიანი გარჩევის მიზეზი, სავარაუდოდ, გოგონა გახდა, რომელიც თოფაძეებთან გვიან ღამით სტუმრად იმყოფებოდა“, - განაცხადა წამყვანმა [2 აგვისტოს მაესტროს ეთერში](#).

ტვ პირველი


რაოდენობრივი შედეგები

„ტვ პირველის“ ეთერში მონიტორები ყოველდღიურ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „პირველებს“ და „ნოდარ მელაძის შაბათს“ აკვირდებოდნენ. ამ არხზე ყველაზე ბევრჯერ „ქართული ოცნება“ გაშუქდა (დროის 53% უარყოფითი ტონით), ყველაზე უარყოფითი გაშუქება კი დათმობილი ჰქონდა მთავრობას (დროის 66 % უარყოფითი ტონით).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

ტვ პირველი

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



შინაარსობრივი შედეგები

„ტვ პირველი“ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული არხია და მისი საინფორმაციო გამოშვებები ექსკლუზიური, სიღრმისეული რეპორტაჟებით გამოირჩევა. საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად შუქდება თემები თანამდებობის პირთა კორუფციის, ადამიანის უფლებების დარღვევისა და ნეპოტიზმის შესახებ. მმართველი პარტია და ხელისუფლება ძირითადად უარყოფითადაა წარმოჩენილი. ზოგადად, „ტვ პირველს“ ახასიათებს წამყვანებისა და ჟურნალისტების მხრიდან სუბიექტური ტონი და შეფასებები, რაც ტენდენციურობის შთაბეჭდილებას უქმნის მაყურებელს.

„ტვ პირველის“ საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად შუქდება თემები თანამდებობის პირთა კორუფციის, ან არაჯანსაღი კომერციული ინტერესების შესახებ. ბიძინა ივანი-

შვილი ძირითადად უარყოფითად არის წარმოდგენილი და ჟურნალისტური მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია იქითკენ, რომ ნებისმიერი უკანონო ქმედების უკან გამოკვეთონ ბიძინა ივანიშვილის ღია თუ ფარული ინტერესები. მსგავსი კრიტიკული ტონი არ იგრძნობა ოპოზიციის მიმართ.

„ტვ პირველი“ აქტიურად აშუქებდა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს და არჩევნების შემდეგ გაერთიანებული ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ ყველა საპროტესტო გამოსვლას და აქციას - ის ყოველთვის არის მოვლენების შუაგულში და ყველა ოპოზიციურ პარტიას აძლევს საკუთარი მოსაზრების და პოზიციის წარმოჩენის შესაძლებლობას.

ხშირია შემთხვევები, როცა საინფორმაციო გამოშვებაში გასულ სიუჟეტებში დარღვეულია ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები.

დაუბალანსებელი [სიუჟეტი](#) გავიდა 15 ნოემბერს „ტვ პირველის“ ეთრში, რომელიც მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის დაწყებულ მოლაპარაკებებზე იყო წარმოდგენილი. იყო სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა კომენტარები, თუმცა მმართველი პარტიის მიმართ გაჟღერებული ბრალდებების საპასუხოდ არ მოგვისმენია პარტიის, რომელიმე წარმომადგენლის კომენტარი.

დაუბალანსებელია 16 ნოემბერს გასული [სიუჟეტი](#), რომელიც ნიკა მელიას საარჩევნო შტაბზე თავდასხმას ეხებოდა. წამყვანი მტკიცებით ფორმაში ამბობს, რომ „პოლიტიკური შურისძიების ბრძანება „ქართულმა ოცნებამ“ გასცა“. სიუჟეტში ჟურნალისტიც ამტკიცებს, რომ „გაერთიანებული ოპოზიციის შტაბს მოლოტოვის კოქტეილები „კანონიერი ქურდის“, ნოდარ გლდანსკის ბრძანებით, მისმა ძმამ ესროლა, პოლიტიკური შურისძიების პოლიტიკური ბრძანება კი „ქართულმა ოცნებამ“ გასცა.“ ეს ინფორმაცია არ იყო გადამოწმებული და დადასტურებული. სიუჟეტში არ ჩანდა არცერთი სანდო წყარო ან მტკიცებულება, რომელიც ამბის რეალურობას დაამტკიცებდა.

ასევე, ამავე სიუჟეტში ვისმენტ არაერთ ბრალდებას კახა კალაძის და ლევან კობიაშვილის მიმართ, თუმცა სიუჟეტში ჟურნალისტის მხრიდან მათთან დაკავშირების მცდელობა არ ჩანს.

„ტვ პირველის“ საინფორმაციო გამოშვებებში, ისევე, როგორც ხელისუფლებისადმი სხვა კრიტიკულად განწყობილ არხებზე, ჟურნალისტები ფაქტების სახით იმეორებენ ოპოზიციური პარტიების ე. წ. „მესიჯბოქსებს“, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წელს კრიმინალურ სამყაროსთან გააფორმა კონტრაქტი“, რაც არის მიზეზი იმისა, რომ ხელისუფლება კრიმინალს მფარველობს და მათთან თანამშრომლობს. აღსანიშნავია, რომ ამ თემის გაშუქებისას ხშირად ირღვევა ეთიკური სტანდარტები.

7 ნოემბერს „ნოდარ მელაძის შაბათში“ გასულ სიუჟეტში „[კანონიერი ქურდები და ძველი ბიჭები ქართული ოცნების სამსახურში](#)“ ჟურნალისტი ამბობს, რომ ცნობილი „კანონიერი ქურდის“, ასლან უსოიანის (Дед Хасан) დისშვილი, გოჩა ბალოიანი საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართულ ოცნებას“ გაურიგდა. კერძოდ, ბალოიანი არჩევნებში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, სოზარ სუბარს ხმების მობილიზებაში დაეხმარებოდა და სამგორის ოლქში არჩევნებს მოაგებინებდა, სანაცვლოდ კი „ქართული ოცნება“ გოჩა ბალოიანის შვილს, რომელიც ყაჩაღობის ბრალდებით არის დაკავებული და სასჯელს იხდის, ციხიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლებდა. სიუჟეტში, ჟურნალისტების მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, რომ 31 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, გოჩა ბალოიანი მოძრაობს მანქანით, რომელზეც დაკრულია სოზარ სუბარის საარჩევნო პლაკატები, ამავე დროს ის შეურაცხყოფას აყენებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს და მათ აგინებს, თუმცა სიუჟეტში წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება, რომელიც „ქართულ ოცნებასა“ და გოჩა ბალოიანს შორის შემდგარ გარიგებას დაადასტურებდა.

29 ოქტომბერს გასულ სიუჟეტში - [ფარული ჩანაწერი ბანკის მმართველის საქმიდან](#), რომელიც 21 ოქტომბერს, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდასხმაში და 43 მძევლის აყვანაში ბრალდებულ ბადრი ესებუას ეძღვნება, ჟურნალისტი ამბობს, რომ ესებუას საქმეზე „ტვ პირველისთვის“ ცნობილი გახდა „ახალი გარემოება“, კერძოდ კი ის ფაქტი, რომ ტერაქტში ბრალდებული ესებუა ზუგდიდის საკრებულოს და მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ წევრის, ჯონი ჯიქიას ახლო ნათესავია. სიუჟეტში არაფერია ნათქვამი იმაზე, აქვს თუ არა რაიმე კავშირი ჯონი ჯიქიას ზუგდიდში „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე განხორციელებულ თავდასხმასთან და ედავება თუ არა მას რაიმეს გამოძიება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტს სურს, ჯიქიასა და ესებუას შორის ნათესაური კავშირი, რომელსაც თვითონ ჯონი ჯიქია და მისი მეუღლე კატეგორიულად უარყოფენ, მმართველი პარტიის დისკრედიტაციისთვის გამოიყენოს.

დაუბალანსებელია 25 ოქტომბერს გასული სიუჟეტი „თვითმკვლელობის მცდელობა ციხეში“.

სიუჟეტში გლდანის ციხეში მყოფი ერთ-ერთი პატიმრის მეუღლე აცხადებს, რომ მისმა ქმარმა ციხეში რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა, თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ კი ის დასაჯეს და კარცერში გამოკეტეს. მეუღლის ნათქვამზე დაყრდნობით ქალი ამბობს, რომ მის ქმარსაც და სხვა პატიმრებსაც ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები არაადამიანურად ექცევიან - ხშირად სცემენ და ემუქრებიან და, რომ, თუ ცემის დროს შემოაკვდებათ, ამას ვერავინ გაიგებს და საბუთებში ჩაუწერენ, რომ სიკვდილის მიზეზი გულის შეტევა გახდა. სიუჟეტში არ არის ჩაწერილი სასჯელადსრულების დაწესებულების კომენტარი და არც კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანს.

გენდერული სტერეოტიპები ტვ პირველზე

მონიტორინგის პერიოდში „ტვ პირველზე“ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაკეთებულა.

POSTV

რაოდენობრივი შედეგები


სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ POSTV-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას 19 საათზე.

სამონიტორინგო პერიოდში პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ დაეთმო (დროის 39 % დადებითი ტონით). ყველაზე ნეგატიურად მიხეილ სააკაშვილი გაშუქდა. (დროის 86 % - უარყოფითი ტონით). POSTV-ის ეთერში გაშუქდა მთავრობაც (დროის 38 % პოზიტიური ტონით).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

Pos TV

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



შინაარსობრივი შედეგები

ტელეარხი POSTV პროსახელისუფლებოა და, შეიძლება ითქვას, რომ მმართველი პარტიის პროპაგანდის იარაღია. მის ეთერში ფაქტობრივად არ გადის კრიტიკული რეპორტაჟები ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მისამართით. არხი მუდმივად დადებითად წარმოაჩენს „ქართულ ოცნებას“ და, ასევე, მუდმივად ცდილობს ოპოზიციის დისკრედიტაციას. POSTV-ზე ოპოზიციას ძირითადად „რადიკალებად“ მოიხსენიებენ.

„ახალ ამბებში“ არ გვხვდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე მომზადებული ექსკლუზიური და სიღრმისეული სიუჟეტები. POSTV-ს საინფორმაციო გადაცემაში ყველაზე დადებითად „ქართული ოცნება“ და მთავრობა შუქდება.

„ახალი ამბები“ ფართოდ აშუქებს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, თანაც მხოლოდ დადებით კონტექსტში. მაგალითად, საინფორმაციო გადაცემაში სპეციალური სიუჟეტები მიემდვნა თბილისის ანძაზე ([თბილისის ანძა - თბილისის ანძაზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს](#)) და ჭიათურის საბაგირო გზაზე ჩასატარებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ([განახლებული საბაგირო გზა ჭიათურაში - სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 40 მლნ ლარი დაიხარჯება](#)).

არხი დიდ ყურადღებას უთმობს კოვიდ-19-თან დაკავშირებული სამთავრობო პროგრამებისა და ინიციატივების გაშუქებას. ყურადღების მიღმა არ რჩება არც ის საერთაშორისო შეფასებები, სადაც კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველო დადებითად არის შეფასებული. მაგალითად, 13 ნოემბერს გასულ სიუჟეტში - [პენიტენციურ სისტემაში COVID-19-თან ეფექტიანი ბრძოლის შედეგად, საქართველო ევროპის საბჭოს წარმატებული ქვეყნების რიცხვში მოხვდა](#) - საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ევროპის საბჭოს ანგარიშში საქართველო მოხსენიებულია იმ ქვეყნებს შორის, სადაც სისტემაში კოვიდ-19-ით ინფიცირების შემთხვევა არ დაფიქსირებულა, ადგილობრივი „ექსპერტები“ კი აცხადებენ, რომ სახელისუფლებო გუნდი „ძალიან წარმატებით მართავს ეპიდსიტუაციას“. „ახალი ამბები“ თითქმის არ აშუქებს კორონავირუსის გავრცელების ფონზე ჯანდაცვის სექტორში შექმნილ მძიმე ვითარებას.

კამპანიური ხასიათი ჰქონდა დავითგარეჯის საკითხის გაშუქებას POSTV-ზე. სადაც ყოველთვის მეორეობდა ხელისუფლების გზავნილები: „თბილისში გამოძიების დაწყებისთანავე ოპოზიცია ახმაურდა. სალომე ზურაბიშვილი ლამის შეაჩვენეს, გააკრიტიკეს და მეზობელ სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობის დაძაბვაში დაადანაშაულეს... არადა ამ ისტორიის მთავარი გმირი სულ სხვა პრეზიდენტია. საუბარია სააკაშვილზე, რომელიც კიევიდან ყვირის. კიევში სააკაშვილი ბობოქრობს, თბილისში კი მისი თანაგუნდელები“. ასეთი [შინაარსის](#) შემცველი, მიკერძოებული [სიუჟეტები](#) ხშირად გადიოდა დავითგარეჯის საქმეზე.

არხი ცალმხრივი და არაობიექტური იყო 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შეფასებისას. სიუჟეტებში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, „არჩევნები დემოკრატიულ და კონკურენტულ გარემოში ჩატარდა“. 10 ნოემბრის სიუჟეტში - [რა შანსი აქვთ რადიკალებს - ქუჩა წააგეს და ახლა ფასილიტატორების იმედზე არიან](#), ჟურნალისტის თქმით, „(ცენტრალური საარჩევნო) კომისიის საქმიანობა, საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ რადიკალ ოპოზიციონერებს არ მოსწონთ“. თუმცა ის არაფერს ამბობს საერთაშორისო ორგანიზაციების და დამკვირვებლების კრიტიკულ შეფასებებზე.

უარყოფით კონტექსტში გაშუქდა 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თბილისა და ბათუმში გამართული საპროტესტო აქციები. 10 ნოემბრის სიუჟეტში - [აქცია რუსთაველის გამზირზე - დაუმორჩილებლობის აქცია დაჯარიმებებით დასრულდა](#) გამოყენებულია კადრები, სადაც ჩანს, როგორ ცეკვავენ საპროტესტო აქციის მონაწილეები ბათუმში. „იგივე ხდებოდა დედაქალაქის მთავარ გამზირზეც. რადიკალი ლიდერების გარეშე დარჩენილი პარტაქტივი დილამდე თავს ცეკვა-თამაშით და დაუსრულებული როკვით ირთობდა. ღამით გადაადგილებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს დაუმორჩილებლობა პარტაქტივმა ასე გამოუცხადა - არაფხიზელ მდგომარეობაში მთელი ღამის განმავლობაში ხტოდა და ცეკვავდა“. - ამბობს ჟურნალისტი სიუჟეტში და იქვე დასძენს, რომ „სამართალდამცავების მიმართ აგრესიული და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება აქციის მონაწილეებისა და მათი ლიდერებისთვის ჩვეული მოვლენა გახდა“.

არაზუსტი ინფორმაცია გავრცელდა 16 ნოემბერს POSTV-ს ეთერში - [მზადება მეორე ტურისთვის](#). სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ ოპოზიცია მეორე ტურისთვის „ფარულად ემზადება“. „მმართველი გუნდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა ამომრჩეველთან შეხვედრები უკვე დაიწყეს. ემზადება ოპოზიციაც, თუმცა, როგორც ყოველთვის, ამბობენ ერთს და აკეთებენ მეორეს. „ოცნების“ ამომრჩეველს ეკრანებიდან ეუბნებიან, რომ მათი მხარდამჭერები მეორე ტურში ხმის მისაცემად არ მივლენ, სინამდვილეში ხალხის მობილიზაციას ფარულად ცდილობენ. მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნიკა მელია“. - ამბობს ჟურნალისტი. სიუჟეტში ჩანს ნიკა მელიას მოსახლეობასთან შეხვედრის კადრები. მიუხედავად იმისა, რომ ჩაწერილია ნიკა მელიას კომენტარიც, სადაც ის განმარტავს, რომ ოპოზიცია მეორე ტურში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს და მოსახლეობას მეორე დღეს, რუსთაველის გამზირზე დაგეგმილი საპროტესტო აქციის თაობაზე ესაუბრება, ჟურნალისტი მაინც ჯიუტად აცხადებს, რომ ის მეორე ტურისთვის „ფარულად ემზადება“.

POSTV, ტელეკომპანია „იმედის“ მსგავსად, ექსპრეზიდენიტ მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაციის მიზნით ხშირად აქვეყნებს უკრაინელი ჟურნალისტების მასალებს.

19 ოქტომბერი POSTV-ის ეთერში გავიდა უკრაინელ ჟურნალისტებზე დაყრდნობით [მასალა](#): „ფოკუსი ცოცხზე და სააკაშვილის მმართველობის ტრაგიკომედიაზე. რევოლუციონერი ტერორისტი, ნახევრად ნაძირალა, ნახევრად უმეცარი, ნახევრად ბრძენი, ნახევრად ვაჭარი და მტერი სააკაშვილი საფრთხეს უქმნის უკრაინას და საქართველოსაც. - ასეთია საქართველოდან გაქცეული ექსპრეზიდენტის პორტრეტი უკრაინელი ჟურნალისტებისთვის. ანალიტიკური გადაცემის ფოკუსში მიხეილ სააკაშვილი მოხვდა ცოცხით ხელში. ალექსეი ტოლმაჩი და ოლეგ დაინეკო საზოგადოებას კიდევ ერთხელ ახსენებენ, თუ რატომ არ სურთ სააკაშვილის საკუთარ ქვეყანაში ყოფნა და რატომ არ უნდა ენდოს ხალხი მის მიერ ხელდასხმულ რომელიმე პარტიას რომელიმე ქვეყანაში.

ჟურნალისტები მორიგ საგამომიებო ფილმში სააკაშვილის პოლიტიკურ გეგმებს შიფრავენ მათ შორის, დადასტურებულ ფაქტად აწვდიან მაყურებელს ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას მკვლელობის დაგეგმვაში სააკაშვილის მონაწილეობას.

„ქართველმა და უკრაინელმა სამართალდამცავებმა ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას სიცოცხლე, ქვეყანა კი მორიგი არეულობისგან იხსნეს“. - უკრაინელი ჟურნალისტები ქვეყნის მთავარსარდალს ბოროტმოქმედ ექსპრეზიდენტს უწოდებენ, რომელსაც ძალაუფლების დაბრუნების წყურვილი ამოძრავებს და დასტურად სტრასბურგის გადაწყვეტილებები მოჰყავთ. მიმიეა ადამიანის უფლებების დამცველი ევროპული სასამართლოს ვერდიქტიც, რომლის მიხედვითაც სააკაშვილი აპატიმრებდა, აწამებდა და კლავდა ადამიანებს, სანამ ისინი საკუთარ ქონებასა და ფულზე უარს არ იტყოდნენ.

უკრაინული ფოკუსი მოქალაქეებს საქართველოშიც და უკრაინაშიც აფრთხილებს, რომ ხმის მიცემს დროს არჩევანი ცოცხის სიმბოლოდ ქცეულ სააკაშვილზე არ გააკეთონ, რომ თავად არ აღმოჩნდნენ მისი მორიგი მსხვერპლი“. მიხეილ სააკაშვილის მადისკრედიტებელი სიუჟეტები POSTV-ზე არჩევნების მეორე ტურის წინაც გაგრძელდა, [საკაშვილი დასავლეთს უტევს - გაქცეული ექსპრეზიდენტი ევროპარლამენტარს კრემლის აგენტს უწოდებს](#) და [მიშა ევროსაბჭოს დეპუტატის წინააღმდეგ - სააკაშვილმა ტინი კოქსი რუსეთის უშიშროების აგენტად გამოაცხადა](#)

გენდერული სტერეოტიპები POSTV-ზე

მონიტორინგის პერიოდში POSTV-ზე გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა თუ გენდერული სტერეოტიპების შემცველი განცხადებები არ გაკეთებულა.

